

6.21 ✕ 481934 ✓ 01

1109 1103 02769.

70121985 ♣ 3078134

✓ 7108 **10** 76123"1

10 ♣ 30908 261181 ✕

932 ✕ 8719734613

862511645 ♦ 319

✓ 92402181102

TBILISI
INTERNATIONAL
FESTIVAL
OF THEATRE

www.tbilisiinternational.com



14-30 სექტემბერი • SEPTEMBER • 2018





კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მერი

KAKHA KALADZE
Mayor of Tbilisi

თბილისის საერთაშორისო ფესტივალი ის კულტურული მოვლენაა, რომლის გამოც, ყოველწლიურად ჩვენი დედაქალაქი არა მარტო კავკასიის, არამედ ევროპის თეატრალური ხელოვნების ცენტრი ხდება. ამ პერიოდში თბილისს ათობით დასი და თეატრალური ხელოვნების მრავალი მოყვარული სტუმრობს.

ამ ხნის განმავლობაში, მაღალპროფესიონალური მიდგომების განვითარებით, ფესტივალმა ისეთივე აღიარების და პოპულარობის მოპოვება შეძლო, როგორც მრავალი წლის წინ დაარსებულ წარმატებულ ევროპულ ფესტივალებს აქვთ, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია ქართული საზოგადოების მხრიდან.

ჩემთვის, როგორც დედაქალაქის მერისთვის, რომლისთვისაც პრიორიტეტულია დედაქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, სასიხარულოა, რომ წლის ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული მოვლენა თბილისს განსაკუთრებულ სიბლეს მატებს და ქალაქს ყოველწლიურად რამდენიმე კვირის განმავლობაში თეატრალურ ეპიცენტრად აქცევს.

მინდა, წარმატება ვუსურვო ფესტივალის ყველა მონაწილეს, ხოლო ერთგულ გულშემოტკივრებს - მასთან დაკავშირებული მოლოდინების სრულად გამართლება.

The Tbilisi International Festival is a cultural event, due to which, every year, the capital of Georgia becomes the centre of not only the Caucasus but European theatre arts as well. During this period, Tbilisi is visited by dozens of performing companies and performing art lovers.

During this time, due to developing the highly professional standards and approaches, the festival has been able to gain as high recognition and popularity as other successful European festivals established many years ago, which is particularly appreciated by Georgian society.

To me, as to the mayor of the capital of Georgia, to whom the activation of our capital's cultural life is a matter of high priority, it's a delight to observe that one of the outstanding cultural events of the year adds to Tbilisi special charm and annually turns the city into a theatrical epicenter for several weeks.

I wish success to all the participants of the festival and the full justification for their expectations to the true lovers of theatre art.



მიხეილ ბათიაშვილი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

MIKHEIL BATIASHVILI

Minister of Education, Science, Culture and Sport

ქართულ ხალხურ ტრადიციაში ყოველთვის დიდი როლი ჰქონდა თეატრალიზებული წარმოდგენის ხელოვნებას. ბერიკობა, ყენობა, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათების დადგმა და სახიობის სხვა ფორმები ქმნიდნენ ნიადაგს, რომელზეც თანამედროვე ქართული პროფესიული თეატრი შეიქმნა. ჩვენს უახლოეს ისტორიაშიც თეატრი უდიდეს საზოგადოებრივ როლს ასრულებდა. ყველაზე რთულ პერიოდებში ხშირად სწორედ სცენა იყო ის ადგილი, სადაც პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი, ავტორიტარული რეჟიმის კრიტიკა, კულტურული და საზოგადოებრივი განახლების პროცესები იწყებოდა. თეატრს დღესაც დიდი წვლილი შეაქვს საზოგადოებაში ჰუმანური იდეალების დამკვიდრებაში, ახალი თაობების აღზრდასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც წელს მეათედ იმართება, სწორედ ამ დიდი ტრადიციების

ღირსეული გაგრძელებაა. ამავდროულად, იგი თავად ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან ტრადიციად, რომელიც ორიენტირებულია მომავალზე, განვითარებაზე, ადამიანებსა და კულტურებს შორის დიალოგის გაღრმავებაზე. ამ წლების განმავლობაში დედაქალაქის თეატრალურმა სივრცეებმა უმასპინძლეს 170 თეატრალურ დასსა და კომპანიას ოცზე მეტი ქვეყნიდან, თეატრალური სამყაროს არაერთ ვარსკვლავს. გაიმართა 350 წარმოდგენა. მრავალ ახალგაზრდა დასს სწორედ თბილისმა გაუხსნა გზა საერთაშორისო აღიარებისაკენ.

ფესტივალი ქმნის სივრცეს ახალი თეატრალური ფორმების ძიებისათვის, მაყურებელთან დიალოგისათვის, ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობების, დრამატურგები, რეჟისორების აღმოჩენისთვის. იგი უნიკალური შესაძლებლობაა ჩვენი თეატრალური ცხოვრების ყოველწლიური შეჯამებისთვის, საუკეთესო დადგმების გაცნობისთვის, ერთობლივი და გაცვლითი პროექტების დაგეგმვისთვის, ქართული თანამედროვე თეატრის პოპულარიზაციისა და ჩვენთვის ჯერაც უცნობი კულტურის გაცნობისთვის.

მადლობა თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებს, თითოეულ თანამშრომელს, ვისი დიდი ძალისხმევითაც ფესტივალმა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონის მასშტაბით დაიმკვიდრა ერთ-ერთი წამყვანი კულტურული მოვლენის სახელი.

მივესალმები ჩვენს ძვირფას სტუმრებს და ფესტივალის ქართველ მონაწილეებს. თეატრის ერთგულ მაყურებელს კი შემოქმედებასთან ზიარების სიხრულით სავსე, დაუვინყარ დღეებს ვუსურვებ.

The art of theatrical presentation has always played an important role in the Georgian folk tradition. The popular Berikoba, Keenoba and live performances based on the motives of The Knight in the Panther's Skin and other forms of performance have created the

foundation on which the modern Georgian professional theater is based. In the modern history of Georgia, the theater played an important role. In the most difficult periods for the country, the scene was often the place to criticize loudly the authoritarian regime, were highlighted many social problems, and cultural and social processes began to be updated here as well. The Georgian theater today contributes greatly to the establishment of humane ideals in society, the formation of new generations and development of critical thinking.

The Tbilisi International Theater Festival, which is held for the tenth time this year, is a worthy continuation of these great traditions. At the same time, it was formed as an important tradition, focused on the future, on development, on deepening the dialogue between people and culture.

Over these ten years, the theatrical space of Tbilisi hosted 170 theater companies and groups from more than twenty countries, many theater stars from the different countries. Over the 350 performances were held here. The Tbilisi festival opened the way to international recognition for many young theater companies as well.

The festival creates space for the search of the new theatrical forms, talented young actors, playwrights, directors for the communication with the audience.

This is a unique opportunity for an annual summing-up in our theatrical life, for getting acquainted with the best ideas, for planning joint and exchange projects, popularizing the modern theater in Georgia and getting to know cultures that are little-known to our audience. I am deeply thankful to the organizers of the Tbilisi International Festival, as well as each person involved in preparatory processes, thanks to the efforts of which our festival has confirmed the status of one of the leading cultural events not only in Georgia but in the whole region as well.

I welcome our dear guests and the Georgian participants of the festival. As to the faithful audience of the festival, I wish it unforgettable days, full of joy of engagement with art and creativity.



ეკატერინე მაზმიშვილი
არტ დირექტორი

EKATERINE MAZMISHVILI
Art Director of the festival

ციფრები

და რადგან 10 წელია, ციფრებზე მინდოდა მომეყოლა...
 თარიღები, ვადები, ინდექსები და მისამართები, მიმონერის ნომრები, შეთანხმებების გვერდების რაოდენობა; ვალიუტის კურსები, ფასები, პროგრამები, იდეები - ყველაფერი ციფრებია, განსაკუთრებით მწვავედ შეიგრძნობ ამას, როცა ვალდებულებებს იღებ, ანაგარიშებს აბარებ, ბიუჯეტებს ადგენ. ითვლი რაოდენობას, კვირის დღეებს. რაოდენობა - სპექტაკლებს ეხება, ვთქვათ; დღეები - კალენდარს.
 აი, ფიქრობ - როგორი უნდა იყოს ფესტივალი. გინდა გაფრინდე, სამყარო მოიცვა, დიდი გამოწვევა მოახდინო, ხარისხი კიდევ უფრო გააუმჯობესო - და მიფრინავ! მიფრინავ კიდევ სანამ ჩარჩოს კიდეს არ მიეხეთქები. ციფრები იწყება... ციფრებია. ჩარჩოა. მოცემულობაა. მათემატიკურ რეალიზმში აღმოჩნდი. და დგება ამ რეალიზმის მიმართ კაპიტულაციის დრო...
 ჰოდა, აი 10 წელია „დაბადებიდან“. თითქოს რეზიუმე უნდა გავაკეთოთ. მე კი ვფიქრობ - თუკი საუკეთესო იდეები საზღვრებში მოვაქციეთ, რა არის მომავალი? და თუ საზღვრებს არ ვცნობთ მაშინ როგორღა განვახორციელოთ იდეები, რომელთაც ციფრები სჭირდებათ.
 სწორედ ესაა ფესტივალის მათემატიკური რეალიზმი - და ეს მგონია ეხლა მთავარი. როგორ გახდეს თბილისი კულტურული ლიდერი მსოფლიოში მოცემულ მათემატიკურ რეალიზმში და ამავე პირობებში როგორ განვახორციელოთ სრულიად ახალი, რადიკალურად განსხვავებული იდეები, რომელიც გასცდება უკვე ჩამოყალიბებულ კლიშეს თუნდაც საკუთარს, და მოცემული ციფრების საზღვრებსაც არ დაემორჩილება.
 არადა, სხვა გზა არ არის - ფესტივალის, ისევე როგორც ცხოვრება მხოლოდ მოძრაობაა, მუდმივი ცვლილება და კვლავ, როგორც ბევრჯერ უკვე ვახსენე, მუდმივი რისკი.
 მოკლედ, მაინც მუდმივად უნდა გავცდეთ საკუთარ თავს რადგან თუ ეს ძალისხმევა გავწიეთ, მაშინ მათემატიკური რეალიზმიც შეიცვლება, „გამოგვყვება“.
 რადგან საბოლოო ჯამში ციფრები - უსასრულობაა.

მაშ ასე, ფესტივალის 10 სიცოცხლე !

NUMBERS

And since it's already 10 years, I would tell about numbers...
 Dates, deadlines, indices and addresses, correspondence numbers, number of pages of agreements; Currency rates, prices, programs, ideas - all these are figures. You clearly realize this when you take responsibility; when you make budgets; count the number of the weekdays. Some figures are associated with the performances, some of them - to the calendar. And that's when you begin to realize - that's what a festival should be like. You want to float, to embrace the world and make a big challenge, to further improve the quality - and to float! Float until you knock against the frames. And then the numbers begin to reappear again... Yes, there are the frames. Data. And you are conditioned by them, once again, you find yourself in a mathematical realism. And time comes to capitulate to its demands...
 And still, it's been 10 years since it was born. Seems that we have to sum things up, and I'm thinking: if the best ideas are doomed to be constrained, then what will the future be like? But if we do not recognize the numbers, then how to put into practice the ideas that are doomed to be based on these numbers?
 This is a mathematical realism of the festival - and I think, it is a very important subject...
 How to make Tbilisi one of the world's "Kulturtreggers" in the givenness of this mathematical realism and how to implement, under the same conditions, completely new, radically different ideas that'll go beyond the clichés, and not to obey the restrictions imposed by numbers?
 Yet there is no other way - the festival, as well as a life itself - it's just a motion, a constant change and, again, a constant risk.
 In short, we must constantly strive; transcend our own limits of possible, because if we do this, then the mathematical realism will be changed, it will have to "follow us".
 Because, after all, the numbers are infinity.
 So, we are celebrating our festival's 10th life!

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი
Tbilisi International Festival of Theatre is Initiated and Hosted by Tbilisi City Hall



თბილისის მერია

ფესტივალის მხარდამჭერი
Main Support by Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia



საპარტოვო განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

ოფიციალური მასპინძელი
Official Host Hotel



ROOMS HOTELS
— TBILISI —



ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები - ყველა იმსახურებს ჩვენს გულითად მადლობას. მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა !

Founders, Partners and Festival Friends – All deserve our greatest thanks!
Without their support The Festival would not have been possible!

ფესტივალის მეგობრები დაარსების დღიდან | Partners and Friends since establishment



საერთაშორისო პროგრამის და პროექტების პარტნიორები | International Program and Projects Partners



ფესტივალის პარტნიორები | Festival Partners



საინფორმაციო მხარდაჭერა | Media Support



ფესტივალის მასპინძელი | Festival Host




ინტერნეტ პარტნიორები | Internet Partners



ფესტივალის კლუბი | Festival Club



2009 – 2017



14, 15, 16 სექტემბერი/September 20:00

რიგის ახალი თეატრი / ბარიშნიკოვ ფროდაქშენს, ლატვია
იოსიფ ბროდსკის ლექსების მიხედვით
ბროდსკი / ბარიშნიკოვი
რეჟისორი: ალვის ჰერმანისი

დრამა/ერთი მსახიობის წარმოდგენა
ადგილი: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი | დიდი სცენა
ხანგრძლივობა: 90 წუთი, შესვენების გარეშე

The New Riga Theatre / Baryshnikov Productions
Based on the poems of Joseph Brodsky
BRODSKY/BARYSHNIKOV
Directed by Alvis Hermanis

Drama/one man show
Venue: Kote Marjanishvili State Drama theatre
Duration: 90 min. without intermission

14, 15, 16 სექტემბერი/ September 20:00

ბადენის შტატსთეატრი, კარლსრუე / სამეფო უბნის თეატრი,
გერმანია-საქართველო
დათო გაბუნია
ვეფხვი და ლოი
რეჟისორი: დათა თავაძე

ადგილი: სამეფო უბნის თეატრი
ხანგრძლივობა: 100 წუთი, შესვენების გარეშე

The Staatstheater Karlsruhe, Germany / Royal District Theatre, Georgia
Davit Gabunia
TIGER AND LION
Directed by Data Tavadze

Venue: Royal District Theatre
Duration: 100 minutes, without intermission

17, 18 სექტემბერი/September 20:00

ცირკი ელოიზი, კანადა
დეივ სენ-პიერის და ჟანო პენშოს ცირკი
ციკოპოლისი
რეჟისორები: დეივ სენ-პიერი და ჟანო პენშოს

ადგილი: გრიბოედოვის თეატრი, დიდი სცენა
ხანგრძლივობა: 85 წუთი, შესვენების გარეშე

Cieque Eloize, Canada
Dave St-Pierre and Jeannot Painchaud
CIRKOPOLIS
Directed by Dave St-Pierre and Jeannot Painchaud

Venue: Griboedov theatre
Duration: 85 minutes, without intermission

20 სექტემბერი/ September 20:00

The Tiger Lillies/ თაიგერ ლილიზ, დიდი ბრიტანეთი
პედერ ბიურმანი
ედგარ ალან პოს მოჩადოვაბული სასახლე, თაიგერ ლილიზ
რეჟისორი: პოლ გლოუბი
მუსიკალური რეჟისორი: მარტინ ჟაკი

მულტიმედია კონცერტი
ადგილი: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი | დიდი სცენა
ხანგრძლივობა: 90 წუთი, შესვენების გარეშე

The Tiger Lillies, UK
EDGAR ALLAN POE'S HAUNTED PALACE FEATURING THE TIGER LILLIES
Directed by Paul Golub

Venue: Kote Marjanishvili State Drama theatre
Duration: 90 min. without intermission



ROOMS HOTELS
— TBILISI —

14 M. Kostava St. 0108 Tbilisi, Georgia • Phone: + 995 32 2020099
tbilisi@roomshotels.com • www.roomshotels.com



A MEMBER OF DESIGN HOTELS™

23 სექტემბერი/September

19:00

თეატრი თალია, გერმანია
ნინო ხარატიშვილის რომანის სასცენო ადაპტაცია
მარვა სიცოცხლე (ბრილკასთვის)
რეჟისორი: იეტე სტეკელი

ადაპტირებული ვერსიის ავტორები:
იულია ლოხტე და ემილია ლინდა ჰაინრიჰი
ადგილი: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული
თეატრი | დიდი სცენა
ხანგრძლივობა: 295 წუთი, 2 შესვენებით

Thalia Theater, Germany
Nino Kharatishvili

THE EIGHTH LIFE (FOR BRILKA)

Directed by Jette Steckel

Venue: Shota Rustaveli State Drama Theatre
Duration: 295 with 2 intermissions

26 სექტემბერი/ September

20:00

ციაო ლიან არტი, ჩინეთი
საბრძოლო ხელოვნება ცაჰვის ენით
რეჟისორი: ციაო ლიანი

ადგილი: გრიბოედოვის თეატრი, დიდი სცენა
ხანგრძლივობა: 70 წუთი, შესვენების გარეშე

ZhaoLiangART

MARTIAL ART IN DANCE

Directed by Zhao Liang

Venue: Griboedov theatre
Duration: 70 minutes, without intermission

26 სექტემბერი/September

20:00

SthlmsMusikTeater SMT, შვედეთი
ტექსტი და მუსიკა იან-ერიკ საფისა
ფროიდის სიგარა
რეჟისორი: ანდრიას ბუნსტრა

ადგილი: მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენა
ხანგრძლივობა: 90 წუთი, შესვენების გარეშე

SthlmsMusikTeater SMT, Sweden
Text and music by Jan Erik Saaf

FREUDS CIGAR

Directed by Andrias Boonstra

Venue: Kote Marjanishvili State Drama theatre, small stage
Duration: 90 without intermission

27 სექტემბერი/ September

20:00

ფონდი არტ ჯანქშენ , პოლონეთი
სახლი საზღვარზე
რეჟისორი და ქორეოგრაფი: იაროსლავ სიეჯკოვსკი

ადგილი: სპექტაკლი ღია სივრცეში
ხანგრძლივობა: 60 წუთი, შესვენების გარეშე

Fundacja Art Junction, Polish

SCANSRIO BASED ON TOLD STORIES

Directed by, Choreographer: Jaroslaw Siejkowski

Venue: outdoor
Duration: 60 without intermission

30 სექტემბერი/ September

20:00

ხელების რიტმი, მალაიზია
სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მუსიკა,
დასარტმელი ინსტრუმენტების თანამედროვე ხელოვნება
დიალოგი კანს შიგნით
არტ დირექტორი: ბერნარ გო

ადგილი: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
დრამატული თეატრი, დიდი სცენა
ხანგრძლივობა: 85 წუთი, 1 შესვენებით

Hands Percussion, Malaysia
South East Asia Music, Contemporary Percussion

DIALOGUE IN SKIN

Artistic Director: Bernard Goh

Venue: Kote Marjanishvili State Drama theatre
Duration: 85 with 1 intermission



14
15
16.09



ბროდსკი/ბარიშნიკოვი

რიგის ახალი თეატრი / Baryshnikov Productions

იოსიფ ბროდსკის ლექსების მიხედვით
დრამა/ერთი მსახიობის წარმოდგენა

რეჟისორი - ალვის ჰერმანისი
სცენოგრაფი - კრისტინე იურიანე
მუსიკა - ჯიმ უილსონის "God's Chorus of Crickets"/კალიების ღვთაებრივი ქორო, კარლის ტონე
დიზაინერი - კრისტინე იურიანე
განათების დიზაინი - გლებ ფილშტინსკი
ხმის ოპერატორი - ოლეგ ნოვიკოვსი
განათება - ლაურის იოჰანსონისი
ვიდეო - ინეტა სიპუნოვასი
ფოტოგრაფი - იონის დეინატსი
მსახიობი - მიხაილ ბარიშნიკოვი

ხანგრძლივობა: 90 წუთი, შესვენების გარეშე

წარმოდგენის შესახებ:

ბროდსკი/ბარიშნიკოვი ერთი ადამიანის წარმოდგენაა და ნობელის პრემიის ლაურეატი ჰოეტის, იოსიფ ბროდსკის, ლექსების მიხედვითაა დადგმული, შემსრულებელი - მიხაილ ბარიშნიკოვი. დადგმის იდეა და რეჟისურა ცნობილ ლატვიელ რეჟისორს ალვის ჰერმანისს („რიგის ახალი თეატრი“), ეკუთვნის. ბროდსკი/ბარიშნიკოვი (BRODSKY/ BARYSHNIKOV) ემოციური მოგზაურობა/ ჩაღრმავებაა ჰოეტის რთულ ინტუიტიურ კომპოზიციებში. სპექტაკლი სრულდება რუსულ - ბროდსკის მშობლიურ ენაზე. ბარიშნიკოვი მისი დიდი ხნის მეგობრის ნატიფ, ბასრ და ამაღელვებელ ნაწერებს კითხულობს. მის მეტად დახვეწილი პლასტიკას მაყურებელი ბროდსკის შინაგან სამყაროში გადაჰყავს, ისე, როგორც ეს სამყარო ჰერმანისმა დანახა, მოწინებებითა და აღფრთოვანებით.

თეატრის შესახებ:

რიგის ახალი თეატრი სახელმწიფო სარეპერტუარო თეატრია, იგი 1992 წელს დაარსდა და 1997 წლიდან ახლანდელი სამხატვრო

ხელმძღვანელი, ალვის ჰერმანისი უდგას სათავეში. რიგის ახალი თეატრის სახელოვნებო პრინციპები უმაღლეს პროფესიონალიზმს, ეთიკურ და ესთეტიკურ ხარისხს ეფუძნება, რასაც დასი გონივრულად შერჩეული, მაყურებლისათვის მიმზიდველი რეპერტუარით ახერხებს - დასი საკუთარ აუდიტორიად თანამედროვე, განათლებულ და საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანებს მიიჩნევს. რიგის ახალი თეატრი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ფესტივალებში მონაწილეობს და ამ დროისთვის საკუთარი ნამუშევრები 40 ქვეყნის 200-ზე მეტ ქალაქში აქვს ნაჩვენები, როგორც ევროპაში, ისე სხვა კონტინენტებზე.

დამოუკიდებელი ნიუ-იორკული საპროდიუსერო კომპანიაა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული, ყველაზე გამორჩეული რეჟისორების, ქორეოგრაფებისა და არტისტების ხმა მსოფლიოს ყველაზე ანგარიშგასაწევ, აღიარებულ სცენებამდე მიიტანოს. ასე, მაგალითად, მას პროდიუსირება აქვს განუული (თანამდევნი ტურნეებით) პროექტებისათვის „უაით ოუქ დენს პროექტი“/ White Oak Dance Project

(1990-2002), აკრძალული შობა, ანუ ექიმი და პაციენტი (2004-2006), Beckett Shorts (2007), „პარიზში“ (2010-2012), ადამიანი ჩემოდანში (2012-2014), „მოხუცი ქალი“ (2013-2015) და „წერილი მამაკაცს“ (2015-2017).

პრესა:

„...ამ წარმოდგენის სივრცეში ორი არტისტი ბროდსკის სამყაროს მატერიალიზებას ახდენს - ლექსის უღერადობას, შეგრძნებებს, მოქმედებასა და რეაქციას უკავშირებს ერთმანეთს.

„ბროდსკი/ბარიშნიკოვი მოწინებით აღსავსე, დონკიხოტურად იდეალისტური განსჯა იმის შესახებ, თუ ვინ ან რა შეადგენს მწერლის ცხოვრებას, და რა კვალს ტოვებენ ისინი მწერლის მეხსიერებაში.“
ჯენიფერ კრასინსკი „დიადი სიტყვები“, www.artforum.com, 15.04.2016

„ბარიშნიკოვს საოცარი ხმა აქვს და მას სრულად და ნატიფად იყენებს. როგორც მისი ამერიკული კარიერის დასაწყისიდან გვახსოვს, იგი აღმაფრთოვანებლად ღრმა

მსახიობია. ამ სპექტაკლში ბარიშნიკოვი შესანიშნავი მიმიკაა - ხან პეპელასავით დაფარფატებს, ხან კაბუკის მსახიობია, ხან სიკვდილის შემზარავ მარნუხებში მოქცეული ადამიანი. იმის შემფასებლად ვერ გამოვდგები, თუ როგორ ესმის მაყურებელს ბროდსკის რუსული ლექსები, მაგრამ მე უყოყმანოდ მივუჩენ მას ადგილს ხელოვნების ყველაზე მაღალ მწვერვალებზე, იქ, სადაც ოდესღაც ჩარლი ჩაპლინმა დაიშკვიდრა ადგილი - რომელიც მასავით მსახიობიც იყო, მოცეკვავეც და მიმიკ. მართა გრეჰემიც იმავე ხარისხით იყო ხელოვნებაში და ხელოვნებისთვის; ასეთი იყო მარია კალასი; ასეთი იყო ლილიან გიში. ისინი ჩვენთვის უკვდავები არიან.“

„ბარიშნიკოვი სპექტაკლის ცენტრალურ ფიგურად ქცევას მაშინაც კი ახერხებს, როცა არ ცეკვავს.“

რობერტ გოტლიბი
www.observer.com, 14.03.2016

ბარიშნიკოვი ხომ დიდი მოცეკვავეა, მაგრამ, ამავდროულად, ყოველთვის ანგარიშგასაწევ მსახიობად ითვლებოდა, ხოლო ის, თუ როგორ ეპყრობა იგი ენას, სპექტაკლის ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილია - ვფიქრობ, მათთვისაც კი, ვინც დადგმას მხოლოდ სუბტიტრული თარგმანით ნახავს.“

ჯოან ეკონილა „არჩილები“,
www.nybooks.com , 14.01.2016

მიხაილ ბარიშნიკოვი

დაიბადა 1948 წელს, რიგაში, ლატვიაში. მიხაილ ბარიშნიკოვი დღევანდელი მსახიობის ერთ-ერთ უდიდეს მოცეკვავედ ითვლება. ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაწყებული გამორჩეული კარიერა მან დასავლეთში გააგრძელა, სადაც 1974 წელს გადავიდა საცხოვრებლად, შემდეგ კი ამერიკაში დასახლდა და ამერიკის საბალეტო თეატრის (ABT) წამყვანი მოცეკვავე გახდა. 1978 წელს იგი „ნიუ-იორკ სითი ბალეტს“/ New York City Ballet-ს დასს

შეუერთდა, სადაც ჯორჯ ბალანჩინსა და ჯერომ რობინსთან დაიწყო მუშაობა. ერთი წლის შემდეგ იგი ამერიკის საბალეტო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა, სადაც მომდევნო ათი წლის განმავლობაში მოცეკვავეებისა და ქორეოგრაფების ახალი თაობა წამოზარდა. 1990-2002 წლებში ბარიშნიკოვი „უაით ოუქ დენს პროჯექტის“ დირექტორი და ამავე დასის მოცეკვავე იყო. პროექტი, რომელიც მან მარკ მორისთან ერთად დააფუძნა, ამერიკის თანამედროვე საცეკვაო ხელოვნების რეპერტუარისა და ბილვადობის გაზრდა-გაფართოებისათვის იქნა ჩაფიქრებული. როგორც მსახიობმა, არაერთი როლი ითამაშა ბროდვეიზე თუ მის გარეთ, ტელევიზიასა თუ კინოში. ბარიშნიკოვის სამსახიობო მიღწევები მისთვის „ტონი ევორდის“ მინიჭებით აღინიშნა; სპექტაკლ „მეტამორფოზაში“ მთავარი როლის შესრულებისათვის იგი „დრამა დესკ ევორდით“ დაჯილდოვდა, ფილმში „გარდატეხის წერტილი“ შესრულებული როლისთვის კი ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოზე იქნა წარდგენილი.

2005 წელს მიხაილ ბარიშნიკოვმა ნიუ-იორკში „ბარიშნიკოვის სახელოვნებო ცენტრი“(BAC) - სახელოვნებო სივრცე დააარსა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მულტიდისციპლინარული არტისტებისთვისაა განკუთვნილი. იმ მრავალ ჯილდოსა და პრემიას შორის, რომლებიც სხვადასხვა დროს ბარიშნიკოვს მიუღია, არის კენედის ცენტრის ღირსების ჯილდო, ხელოვნების სახელმწიფო მედალი, თანამეგობრობის პრემია, იეილის უნივერსიტეტის სახელოვნებო გრანტი - Chubb Fellowship, ჯერომ რობინსის სახელობის პრემია, ვილჩევის პრემია. 2010 წელს მას საფრანგეთის საპატიო ლეგიონის კავალერობა ებოძა, ხოლო 2017 წელს თეატრისა და კინოს სფეროში მიღწევებისათვის პრესტიჟული იაპონური საერთაშორისო პრემია Praemium Imperiale ერგო.

ალვის ჰერმანისი

ალვის ჰერმანისი 1965 წელს დაიბადა ლატვიაში, რიგაში. ამასწინათ იგი ერთ-ერთმა შვეიცარულმა სახელოვნებო პერიოდულმა გამოცემამ ხელოვნებისა და კულტურის სფეროს უკანასკნელი ათი წლის ათ ყველაზე გავლენიან პირს შორის დაასახელა. ჰერმანისი დღეს ევროპის ყველაზე თვალსაჩინო თეატრალურ კომპანიებსა და საოპერო თეატრებთან თანამშრომლობს, 2012 წლიდან დგამს საოპერო წარმოდგენებს ზალცბურგის ფესტივალისთვის.

მის დადგმებს შორისაა Il Trovatore - პლასიდო დომინგოსა და ანა ნეტრებკოს მონაწილეობით (2014), Die Liebe der Danae (2016), La Damnation de Faust - იონას კაუფმანის მონაწილეობით პარიზის სახელმწიფო საოპერო თეატრში (2015) და სხვანი. ჰერმანისის თეატრალური ნამუშევრები, ავინიონიდან ედინბურგამდე, მსოფლიოს არაერთ მნიშვნელოვან ფესტივალზე ყოფილა წარმოდგენილი 40-ზე მეტ ქვეყანაში საგასტროლო ტურების ჩათვლით. მის მნიშვნელოვან ჯილდოებს შორისაა ევროპული პრემია New Theatre Realities, სტრავინსკის პრემია, ორი „ოქროს ნილაბი“ (მოსკოვი), Max Reinhardt Pen (ზალცბურგის ფესტივალი), ნესტროის სახელობის პრემია (ავსტრია), კონრად ვოლფის პრემია (გერმანია).

რიგის ახალი თეატრი 1992 წელს დაარსებული სახელმწიფო სარეპერტუარო თეატრია, რომელსაც 1997 წლიდან რეჟისორი ალვინ ჰერმანისი უდგას სათავეში. კომპანია 16 მსახიობისგან შედგება. რიგის ახალი თეატრი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ფესტივალებში მონაწილეობს, მათ შორისაა ავინიონის, ედინბურგის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალები, ვენისა თუ ზალცბურგის ფესტივალები, ბელგრადის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ბელგიური Kunstenfestivaldesarts და სხვა. დასს საგასტროლო ტურებით აქვს მოვლილი 200-ზე მეტი ქალაქი 40 ქვეყანაში,

როგორც ევროპაში, ისე - სხვა კონტინენტებზე. მეტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, ეწვიოთ საიტს <http://www.jrt.lv>.

რიგის ახალი თეატრისა და Baryshnikov Productions/„ბარიშნიკოვ პროდუქშენის“ თანამშრომლობით.

პროექტის მენეჯერია Baryshnikov Productions, ჰონგ ჰონგი.



BRODSKY/BARYSHNIKOV

The New Riga Theatre / Baryshnikov Productions

Based on the poems of Joseph Brodsky
Drama / one-man show

Director – Alvis Hermanis
Actor – Mikhail Baryshnikov
Scenographer – Kristīne Jurjāne
Light designer – Gleb Filshinsky
Sound – Oļegs Novikovs
Light – Lauris Johansons
Video – Ineta Sipunova
Stage Technicians/Surtitles – Andris Skotelis, Kārlis Staņa
Stage manager – Linda Zaharova
Tour manager – Elīna Adamaite
Costume Construction – Deanna Berg-MacLean
Music – Jim Wilson “God’s Chorus of Crickets”, Karlis Tone

Performed in Russian, with Georgian surtitles
Duration: 90 minutes, no intermission
Premiere on October 15, 2015 in The New Riga Theatre, Riga, Latvia

A co-production of The New Riga Theatre and Baryshnikov Productions
General Management by Baryshnikov Productions, Huong Hoang

Based on the poems of Joseph Brodsky
Copyright © 2015, The Estate of Joseph Brodsky
All rights reserved

ABOUT PERFORMANCE:

Brodsky/Baryshnikov is a one-man show based on the poems of Nobel laureate Joseph Brodsky, performed by Mikhail Baryshnikov. Conceived and directed by Alvis Hermanis, noted Latvian director of The New Riga Theatre, Brodsky/Baryshnikov is an emotional journey deep into the poet’s visceral and complex compositions. Performed in Russian, Brodsky’s mother tongue, Baryshnikov recites a selection of his long-time friend’s poignant and eloquent works. His subtle physicality transports the audience

into Hermanis’ reverent imagining of Brodsky’s interior world.

THE NEW RIGA THEATRE is a state repertory theatre founded in 1992, led by artistic director Alvis Hermanis since 1997. Theatre include highly professional, ethic and aesthetic quality through an intelligent and attractive repertory focused on a modern, educated and socially active audience. The New Riga Theatre has performed at major festivals around the world, including Festival d’Avignon, The Edinburgh International Festival, Wiener Festwochen, Salzburger

Festspiele, Holland Festival, BITEF, Kunstenfestivaldesarts, and, to date, has toured to more than 200 towns and cities in 40 countries, both in Europe and overseas. For more information, visit <http://www.jrt.lv>.

BARYSHNIKOV PRODUCTIONS

Is an independent producing company, designed to bring the voices of distinctive directors, choreographers and artists to the world’s most respected stages. Under this umbrella, the company has produced and toured the White Oak Dance Project (1990-2002), Forbidden

Christmas or The Doctor and Patient (2004-2006), Beckett Shorts (2007), In Paris (2010-2012), Man in a Case (2012-2014), The Old Woman (2013-2015) and Letter to a Man (2015-2017).

PRESS:

“...In the space of this performance, two artists make Brodsky’s words physical—connecting poem to sound and sensation and action and reaction. Reverent, quixotic, “Brodsky/Baryshnikov” is a genteel meditation on what and who a writer’s life leaves behind, and what they can forge in his memory.”

Jennifer Krasinski “Big Words”,
www.artforum.com, 15.04.2016.

“Baryshnikov’s voice is beautiful, and he deploys it both fully and subtly. And as we’ve known from the start of his American career, he’s an actor of tremendous depth. In this piece he’s also a brilliant mime—now a fluttering butterfly, now a Kabuki actor, now a man in the frightful grip of death. I can’t judge his delivery of Brodsky’s Russian, but I can confidently place the performer in the highest regions of his art, up there with Charlie Chaplin—who was also an actor, a dancer and a mime. Martha Graham had the same total command of her art; so did Maria Callas; so did Lillian Gish. These are immortals.”

“Even When He’s Not Dancing, Baryshnikov Steals the Show”,
Robert Gottlieb,
www.observer.com, 14.03.2016.

Great dancer that Baryshnikov is, he has always been a considerable actor as well, and the treatment of the language is the most impressive thing in the show even, probably, to those who are getting it from the supertitles.”
Joan Acocella “A Ghost Story”,
www.nybooks.com, 14.01.2016.

MIKHAIL BARYSHNIKOV

Born 1948 in Riga, Latvia, Mikhail Baryshnikov is considered one of the greatest dancers of our time. After commencing a spectacular career with the Kirov Ballet in Leningrad, he came to the West in 1974, settling in New York City as principal dancer with American Ballet Theatre (ABT). In 1978 he joined New York City Ballet, where he worked with George Balanchine and Jerome Robbins. A year later he was appointed artistic director of ABT where, for the next decade, he introduced a new generation of dancers and choreographers. From 1990-2002, Mr. Baryshnikov was director and dancer of the White Oak Dance Project, which he and choreographer Mark Morris co-founded to expand the repertoire and visibility of American modern dance. As an actor he has performed widely on- and off-Broadway, as well as in television and film, receiving a Tony Award nomination and a Drama Desk Award for Metamorphosis, and an Academy Award nomination for The Turning Point.

In 2005, he launched Baryshnikov Arts Center (BAC) in New York City, a creative space designed to support multidisciplinary artists from around the globe. Among Mr. Baryshnikov’s many awards are the Kennedy Center Honors, the National Medal of Arts, the Commonwealth Award, the Chubb Fellowship, the Jerome Robbins Award, and the Vilcek Award. In 2010, he was given the rank of Officer of the French Legion of Honor, and in 2017 he received Japan’s prestigious Praemium Imperiale International Arts Award in Theatre/Film.


ALVIS HERMANIS

Born 1965 in Riga, Latvia, Alvis Hermanis was recently named among the ten most influential European theatre personalities of the last decade by DU Magazine Swiss periodical for arts and culture. Mr. Hermanis currently works with major European theatre companies and in opera houses. He has staged operas at the Salzburger Festspiele since 2012. His opera stagings include among others Il Trovatore featuring Plácido Domingo and Anna Netrebko (2014) and Die Liebe der Danae (2016) at the Salzburger Festspiele, La Damnation de Faust featuring Jonas Kaufman with Opéra National de Paris in 2015 and others. Hermanis’s theatre productions have been presented at major theatre festivals ranging from Avignon to Edinburgh, and have toured to more than 40 countries. His many accolades include the Europe Prize New Theatre Realities, the Stanislavsky Award, two Golden Mask Awards (Moscow), Max Reinhardt Pen (Salzburger Festspiele), Nestroy Preis (Austria), and the Konrad Wolf Award (Germany). THE NEW RIGA THEATRE is a state repertory theatre founded in 1992, led by artistic director Alvis Hermanis since 1997. The Company is comprised of 16 actors.

A co-production of The New Riga Theatre and Baryshnikov Productions. General Management by Baryshnikov Productions, Huong Hoang.



14
15
16.09



ვეფხვი და ლომი

ბადენის სახელმწიფო თეატრი, კარლსრუე / სამეფო უბნის თეატრი

დათო გაბუნია
დრამა
რეჟისორი: დათა თავაძე
კომპოზიტორი - ნიკა ფასური
დიზაინერი - სებასტიან ჰანაკი
ფოტოგრაფი - ფელიქს გრიუნშლოსი

ხანგრძლივობა: დაახლოებით 90 წუთი, შესვენების გარეშე

მონაწილეობენ: ანაგერლინდე დოდენჰოფი, ტიმო ტანკი, ანტონია მორი, სონია ვეგენერი, გუნარ შმიდტი, ალექსანდერ კიუსტერსი.

ბადენის შტატსთეატრის, კარლსრუე, სამეფო უბნის თეატრისა და გოეთეს ინსტიტუტის კოპროდუქცია

თეატრის ისტორია:

კარლსრუეს სახელმწიფო თეატრი ევროპის ყველაზე დიდი მრავალპროფილიანი თეატრია, მასში ერთდროულად 750 პირი მუშაობს და დაახლოებით 330 000 მაყურებლისათვის წელიწადში 750 სპექტაკლს წარმოადგენს. საოპერო, საკონცერტო, საბალეტო და დრამატულ განყოფილებებს თეატრში ორი ახალი განყოფილება დაემატა მას შემდეგ, რაც 2011 წელს სათავეში პეტერ სპილერი ჩაუდგა: საყმანვილო თეატრი და თეატრი მაყურებლის თანამონაწილეობით (participatory theatre).

2018 წლის შემოდგომის შემდეგ სამ ძირითად განყოფილებას (საოპერო, საკონცერტო, საბალეტო) სათავეში ქალები ჩაუდგნენ. თეატრს სამასზე მეტი წლის ისტორია აქვს: 1719 წელს, ქალაქის აშენებისთანავე, იგი სამეფო კარის თეატრად დაარსდა, მაგრამ, მისი კარი მუდამ ღია იყო ფართო მაყურებლისათვის. თეატრი რამდენიმე საერთაშორისო თეატრალური ქსელის, მათ შორის: Opera Europa და European Theatre

convention (ETC) -ის აქტიური წევრია. ამავე სისტემაში თეატრის ერთ-ერთი პარტნიორი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრია. მათი თანამშრომლობის უკანასკნელი ნაყოფის, ციფრული თეატრის პროექტის „დადგი სცენაზე საკუთარი ქალაქი“ პრემიერა 2018 წლის აპრილში გაიმართა ნანსიში (საფრანგეთი).

საქმთაველის შესახებ:

1937 წლის სტალინურ რეპრესიებს საქართველოში უამრავი ხელოვანი და ინტელექტუალი შეეწირა; მათ შორის იყო 100-ზე მეტი მწერალი. რა ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება თოტალურ კონტროლს ამყარებს და ცდილობს, ჩანასახშივე ჩაკლას თავისუფალი გამოსატვის ნებისმიერი მცდელობა?

„ვეფხვი და ლომი“ დოკუმენტური ნყარების გამოყენებით შექმნილი ფიქციური ნაწარმოებია, რომელშიც პერსონაჟებს სახელები არა აქვთ. ისინი კრებითი სახეებია, რომლებიც საბჭოთა საქართველოს სისხლიანი ისტორიიდან ამოკრებილ მრავალ ბიოგრაფიას აერთიანებენ. ტიცინ ტაბიძე, ოლია ოკუჯავა, მიხეილ ჯავახიშვილი... მხოლოდ რამდენიმე მათგანია, ვისი ტრავიკული ბედიც

წარმოდგენაში აისახა. ცენტრალური ადგილი კი პაოლო იაშვილის „პროვოკაციულ“ თვითმკვლელობას უჭირავს, მაჩაბლის ქუჩაზე, იმუამინდელ მწერალთა კავშირში მომხდარ ტრაგედიას, რომლის უტყვი მოწმეები ვეფხვის და ლომის ფიტულები, დღემდე ინახება შენობაში. გერმანულ-ქართულ კოპროდუქციაში რეჟისორი დათა თავაძე და დრამატურგი დავით გაბუნია კარლსრუეს თეატრის გერმანულ მსახიობებთან ერთად გვთავაზობენ ტრაგიკული მოვლენების დისტანცირებულ და მკაცრ ანალიზს; ეს არის შემოქმედებითი ჯგუფის მცდელობა, იპოვოს საწყისი წერტილი, საიდანაც უნდა „დაიწყოს ისტორია“.

სპექტაკლი დაიდგა გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით

პრესა:

ფიგურები გამანადგურებლად წელა მოძრაობენ დათა თავაძის შავ სარეჟისორო ნამუშევარში. ისტორიული ფაქტების სიმრავლისგან, რეჟისორი (ავტორ დავით გაბუნიასთან ერთად) კონცენტრირებული „სამსახიობო თეატრის“ მეშვეობით თავისუფლდება, სადაც თხრობითი პასაჟები იქამდეა დამუშავებული,

ვიდრე ურთიერთობების ტრაგიკულ სიღრმეებს ნათლად არ ვხედავთ. აქედან გამომდინარე, დათა თავაძე, კარლსრუეს ანსამბლთან ერთად, წარმატებით აცოცხლებს გაბუნიას ძლიერ ენას თავის დრამატულ დადგმაში. დიდებული თეატრი, თანაბრად უცნაური და აბსურდული, შთამბეჭდავი,

მინიმალისტური დეკორაციითა და ოთხმოცდაათწლიანი სიუჟეტით, რომელითაც ყველა ქართული ოჯახის ისტორიაა მოწამლული. ავტორი დავით გაბუნია და რეჟისორი დათა თავაძე არაერთ ბიოგრაფიას შეკუმშავენ და ერთმანეთს გადააჯაჭვებენ, რათა ფუნდამენტური საკითხები დასვან წართულთან

გამკლავების, თხრობის, მოგონებისა და დავიწყების შესახებ. ეს გახლავთ გაბედული მიდგომა ინდივიდუალურ ბედისწერათა სიმძიმეებისადმი. დათა თავაძე წარმატებას ტექსტთან დისტანცირების, ბრწყინვალე სამსახიობო ანსამბლისა და დახვეწილი ესთეტიკის ხარჯზე აღწევს. – BNN



Stamba

HOTEL

14 M. Kostava St. 0108 Tbilisi, Georgia • Phone: + 995 32 2021199
www.stambahotel.com

 A MEMBER OF DESIGN HOTELS™



+995 595 990 399, +995 599 990 490
Vardisubani, Kakheti www.mere.ge

TIGER AND LION

Badisches Staatstheater Karlsruhe / Royal District Theatre Tbilisi

Davit Gabunia
Drama

Directed by Data Tavadze

Composer - Nika Pasuri

Designer - Sebastian Hannak

Photographe - Felix Grünschloss

Duration: Approximately 90 minutes, without intermission

CAST: Annagerlinde Dodenhoff, Timo Tank, Antonia Mohr,
Sonja Viegner, Gunnar Schmidt, Alexander Küsters.

Badisches Staatstheater Karlsruhe's co-production with ROYAL DISTRICT THEATRE and Goethe-Institut Georgien

THEATRE HISTORY:

The Staatstheater Karlsruhe is one of the largest multi-department theatres in Europe, with 750 permanent employees presenting around 900 performances to more than 330.000 spectators annually. In addition to the four classical departments – opera, concert, ballet and drama – two new departments were created since Peter Spuhler took over as general manager in 2011: Children and Youth and Participatory Theatre. From fall 2018, the three major departments (opera, ballet, drama) are led by women. The theatre looks back on 300 years of history: Founded in 1719 as the court theatre, parallel to the built-up of the city, it has always been open to the general public. The theatre is an active member in several international networks, among them Opera Europa and the European Theatre convention ETC, as a partner of the Kote Marjanishvili State Drama Theatre. Their latest collaboration, the digital theatre experience "Stage your City",

was premiered in April 2018 in Nancy, France.

ABOUT PERFORMANCE:

In 1937, during the Great Terror numerous Georgian artists and intellectuals fell as victims of Stalin's purges, including over 100 writers. What happens when the State establishes a total control and tries to exterminate every single attempt of free expression?

Tiger and Lion is a fictional play, though based on true stories, where characters have no names. They are collective images, combining the biographies from the bloody history of Soviet Georgia. Tizian Tabidze, Olga Okujava, Mikheil Javakhishvili... are among those whose tragic destinies are reflected in the play; centering on Paolo Iashvili's "provocative" suicide, at the former Writers' Union (Machabeli Street), the tragedy witnessed by stuffed figures of the lion and the tiger, kept in the same house up till present.

In German-Georgian co-production the director Data Tavadze and

the playwright Davit Gabunia together with the German actors of Staatstheater Karlsruhe present a distanced and strict analysis of the tragic events. The artistic team attempts to find the starting points from where "history should start".

The production was supported by Goethe Institut.

PRESS:

In agonizing slowness the figures move in Data Tavadzes dark directorial work. From the abundance of historical facts, with the author Davit Gabunia, the director frees himself through concentrated "actor's theatre". Narrative passages sharpen the actors so that the tragic depth of the relationships comes to light. Thus Data Tavadze succeeds with the Karlsruhe ensemble in bringing the powerful narrative language of Gabunia dramatically to the stage. - nachtkritik.de

A great theatre, equally bizarre and absurd, with an impressive minimalist stage design and a 90-minute plot, which more likely has poisoned the history of every Georgian family. -

Theater Heute
Theater Heute Author Davit Gabunia
and director Data Tavadze, both
from Georgia, are condensing and
intertwining the biographies in order

to address fundamental questions
about dealing with the past, narrating,
remembering and forgetting - a
daring approach to the severity of
individual destinies. Data Tavadze

succeeds thanks to distancing from
the elements in the text, excellent
ensemble of performers and refined
aesthetics. - BNN



WWW.STAATSTHEATER.KARLSRUHE.DE





17
18.09

CIRQUE ELOIZE
Cirkopolis

ცირკოპოლისი

ცირკი „ელუაზი“

დეივ სენ-პიერის და ჟანო პენშოს ცირკი
რეჟისორები - დეივ სენ-პიერი და ჟანო პენშო
კომპოზიტორი - სტეფან ბუშე
დიზაინერები - რობერტ მასიკოტი და ლიზ ვანდალი
ქორეოგრაფი - დეივ სენ-პიერი

ხანგრძლივობა: 85 წუთი, შესვენების გარეშე

მონაწილეობენ: არატა ურავა, მარილუ ფერშელდენი, ანა ლევანდოვსკა, დომინიკ ბუშარი, სეპე ვან ლუვერენი, იან ლებლანკი, კლოდი დაბკევიჩი, მიკა ელინგერი, მეთუ ჯეიმზ ბრაუნი, მარინა მენდოზა, აიზევ ზოლტერი.

წარმოდგენის შესახებ:

წარმოდგენაში „ცირკოპოლისი“/Cirkopolis, ცირკი ელუაზი, იგივე „სერკ ელუაზი“ დიდი ოსტატობით უყრის თავს საცირკო ხელოვნების, თეატრისა და ცეკვის ელემენტებს, ხოლო ამ ნაზავს დახვეწილად სტილიზებული სასცენო დეკორაციებში წარმოადგენს, რომლებმაც დიდი ქალაქის რიტმი და ყოველდღიურობა უნდა განასხიეროს. ამ ატმოსფეროში თორმეტი აკრობატი და მულტიდისციპლინარული არტისტი ამბობენ აწყობს ყოფიერების ერთ-გვაროვნების წინააღმდეგ, თავს ხელახლა პოულობს და ეჭვქვეშ აყენებს მექანიკურ სისტემად ქცეული ქალაქის კონცეფციას, ამას კი მსახიობები ისე აკეთებენ, როგორც მხოლოდ ამ თეატრალურ დასს ხელეწიფება. „ცირკოპოლისი“ ერთგვარი გზათშესაყარი, გადაკვეთის სივრცეა წარმოსახვასა და სინამდვილეს, ინდივიდუალურსა და კომუნალურს, ზღვრებსა და შესაძლებლობებს შორის. „ცირკოპოლისის“ ატმოსფეროში შესვლა გათავისუფლებას, იმედის ფრთებით ქროლვას ნიშნავს, აღნიშნავს „სერკ ელუაზის“ მხატვრული ხელმძღვანელი და სპექტაკლის თანარეჟისორი ჟანო პენშო.

თეატრის შესახებ:

„სერკ ელუაზი“ - იმ მოძრაობის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც თეატრალური ხელოვნების „ხელახლა

გამოგონებას“ ემსახურება, უკვე 25 წელია, მრავალი თეატრალური ჯილდოს მქონე გასართობ წარმოდგენებს დგამს და მსოფლიოს თანამედროვე ცირკებს შორის ერთ-ერთ წამყვან კომპანიად ითვლება. „სერკ ელუაზს“ არაერთ პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალში აქვს მონაწილეობა მიღებული, მოხიბლული ჰყავს ნიუ-იორკის ბროდვეი თუ ლონდონის უესტ-ენდი. მისი პროდუქცია ფართო დიაპაზონისაა და ყველანაირ მაყურებელს სწვდება, მაგ. მისი რეპერტუარი ორმოცდაათამდე ქვეყნის კულტურით საზრდოობს. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში „სერკ ელუაზის“ თერთმეტი წარმოდგენა 5 500 -ჯერ იქნა ნაჩვენები მსოფლიოს 550 ქალაქში და ისინი 3,5 მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

პრესა:

„ცირკოპოლისზე“ გაცილებით მასშტაბური წარმოდგენებიც არსებობს, - მონრეალელთა დასის ეს ნამუშევარი მხოლოდ 90 წუთს გრძელდება, მაგრამ თავს დავდებ, რომ ასეთი სილამაზე არცერთში არ არის. ეს საოცარი ნამუშევარი ხშირად იხრება უბრალოებისა და სისადავისაკენ და ეს მას კიდევ უფრო საოცარს ხდის.“

კენ იაროვსკი
„A Circus Combines “Pow” And Subtlety”
ნიუ-იორკ ტაიმსი, 23 დეკემბერი, 2013

„ცირკოპოლისი“ საოცრებაა. ეს

არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ წარმოდგენა „სერკ ელუაზის“ დადგმულია. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში კომპანია ერთმანეთის მიყოლებით ქმნიდა ინოვაციურ სპექტაკლებს. თუმცა, „ცირკოპოლისით“ თეატრმა სრულიად ახალ ტერიტორიაზე შეაბიჯა, საპერფორმერო და საცეკვაო ხელოვნებას შორის საკუთარი ტერიტორია შექმნა და თან მსოფლიო საცირკო წარმოდგენებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილიც დაიკავა.

პეტ დონელი
„ცირკოპოლისი“ საცირკო წარმოდგენაა, ამ ფრაზის ყველაზე მომნუსხველი გაგებით“, 14 ნოემბერი, 2013

„ცირკოპოლისზე“ მეტი სილამაზის წარმოდგენა ალბათ არ არსებობს“
ნიუ-იორკ ტაიმსი

„არჩვეულებრივია! რა თქმა უნდა, არსებობს საცირკო ხელოვნება, მაგრამ „სერკ ელუაზი“ სულ სხვა რამაა. ესენი სულ სხვა დონეზე დგანან.“
ნიუ-იორკ პოსტი

„ამაღელვებელი, დრამატული, გასაოცარი, მომნუსხველი - ეს ოცნებაა, სიზმარი.“

სთეიჯი, დიდი ბრიტანეთი

www.cirque-eloize.com/en/spectacle/cirkopolis/



CIRKOPOLIS

Cirque Éloize

Dave St-Pierre and Jeannot Painchaud
Circus

Directed by Dave St-Pierre and Jeannot Painchaud
Composer - Stéfano Boucher
Designer - Robert Massicotte And Liz Vandal
Choreographer - Dave St-Pierre
Duration: 85 Minutes, Without Intermission

Cast: Arata Urawa, Marilou Verschelden, Anna Lewandowska, Dominique Bouchard, Seppe Van Looveren, Yann Leblanc, Klodi Dabkiewicz, Micah Ellinger, Mathew James Brown, Marina Mendoza, Isaac Salter

ABOUT PERFORMANCE:

With Cirkopolis, Cirque Éloize takes their breathtaking blend of circus arts, theater, and dance to a highly-stylized metropolis setting, where twelve acrobats and multidisciplinary artists rebel against monotony, reinvent themselves and challenge the limits of the factory-city as only they can.

Cirkopolis was imagined as a crossroads—between imagination and reality, between individuality

and community, between limits and possibilities. Entering Cirkopolis is all about letting go and allowing yourself to be borne aloft by hope, explains Cirque Éloize Cirkopolis. Artistic Director and Co-Director Jeannot Painchaud.

ABOUT THEATRE:

A driving force in the circus art reinvention movement, Cirque Éloize has been creating award-winning entertainment content for 25 years

and ranks among the world's leading contemporary circuses. Cirque Éloize has taken part in numerous prestigious international festivals and has seduced both New York's Broadway and London's West End. Its productions are crafted for a wide range of audiences and have been embraced by over fifty cultures. In the last 25 years, Cirque Éloize's eleven shows have proudly boasted more than 5,500 performances in over 550 cities and have been seen by over 3,5 million spectators.



PRESS:

There are much bigger shows than "Cirkopolis," 90 minutes of circus-theater by the Cirque Éloize troupe of Montreal. But I'd bet there aren't more beautiful ones. This wonderful work often errs on the side of simplicity, and that makes even its smaller moments quite stunning.

Ken Jaworowski, "A Circus Combines "Pow" and Subtlety"
The New York Times,
December 23, 2013


Cirkopolis is a wonder. This was to be expected, given that it is a Cirque Éloize creation. For the past 20 years this company has delivered one innovative show after another. With Cirkopolis, however, they've moved into new territory, somewhere between performance art and dance, while guarding the primal place of top circus acts.

Pat Donnelly "Cirkopolis Is Circus At Its Most Enchanting"
The Gazette, November 14, 2013

"There aren't more beautiful [shows than Cirkopolis]"
The New York Times

"Extraordinary! Theres the circus, and then there's Cirque Éloize. These guys are on a whole other level."
The New York Post

"Thrilling, dramatic, astonishing, mesmerizing simply a dream."
The Stage UK



www.cirkopolis.com
Neuwt

CIRKOPOLIS
is a production
of Les Productions
Neuwt Inc.

Québec

CONSEIL
DES ARTS
DE MONTRÉAL

Montréal

Canada Council
for the Arts
Conseil des art
du Canada

PennState
CENTER FOR THE
PERFORMING ARTS

Place des Arts
Québec



SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ი შ ვ ი ლ ი



ანა სხილაძე

JTI-ის კომუნიკაციების და საზოგადოებრივი პროექტების მენეჯერი კავკასიაში

ANA SKHILADZE

Community Investment & Communications Manager, JTI Caucasus.



ის დაიბადა 10 წლის წინ და სრულიად გამოუცდელმა, პირველივე ნაბიჯებით მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ძალიან მალე უამრავი მხარდამჭერი შემოიკრიბა... გაგვართიანა სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ხალხი და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ის დაიბადა 10 წლის წინ, შემოდგომაზე. და მას მერე ყოველ შემოდგომას გულისფანცქალით ველოდებით, იმიტომ, რომ ვიცით, რაღაც განსაკუთრებული გველის.

ის ერთდროულად გვანებივრებს და გვაიძულებს საკუთარ თავზე ვიმუშაოთ; გვიბიძგებს ჩავუდრმავდეთ თავს და თვალი გავუსწოროთ ჩვენი აზროვნების ჩარჩოებს. ის ხან უხეშად, ხანაც ფაქიზად გვამსხვრევინებს თავსმოხვეულ სტერეოტიპებს და ასე გვათავისუფლებს... ის დაიბადა 10 წლის წინ, თბილისში, საქართველოში. და ძალიან მალე საქვეყნოდ გაითქვა სახელი და გახდა პრესტიჟული. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ჯონ მალკოვიჩს, თომას ოსტერმეიერს, თადაში სუზუკის, აქრამ-ჰანს და ბევრ სხვას, ვისაც მან უმასპინძლა. მის დაბადებაში არა, თუმცა, დაფრთიანებაში ნამდვილად მიგვიძღვის წვლილი. ჩვენ მას გვერდში ვუდგავართ და ვგულშემატკივრობთ უკვე 8 წელია. ბევრი რამ შეიცვალა ამ 10 წლის განმავლობაში. თუმცა, უცვლელი დარჩა პროფესიონალთა გუნდი, რომელიც სულს და გულს დებს ამ საშვილიშვილო საქმეში. JTI-ის სახელით ვულოცავ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს 10 წლის იუბილეს და დარწმუნებული ვარ, რომ ის კიდევ არაერთ ათეულ წელს იხეიმებს.

It was born 10 years ago and, young and completely inexperienced, received much of the public's attention from its very first steps. Almost immediately, it gained lots of supporters ... It keeps us united, people of different generations and professions, becoming an integral part of our lives. It was born 10 years ago, in the fall. And, since then, we wait for it each year impatiently, because we know - something very special expects us. It promises to delight and, at the same time, makes us work on ourselves; Makes us deepen into our inner world and face the frames of our thinking. Grossly or subtly, it makes us break stereotypical approaches and thus, frees from the constraints imposed on our imagination... It was born 10 years ago in Tbilisi, Georgia. And soon afterwards, it gained prestige. If you have doubts, ask John Malkovich, Thomas Ostermeier, Tadashi Suzuki, Akram Khan, and many others who have been guests of the Tbilisi festival. And we've been part of it - if not from its very first steps, then in its further growth. We supported it, and have been its devoted fans during the last 10 years. Lots of things have changed over these 10 years. However, the team of professionals that have put their heart and soul into the outstanding work they carried, remains the same. On behalf of JTI, I congratulate Tbilisi International Theater Festival on its 10th anniversary. I am confident it will celebrate decades of its history.

10 წელი/ 10 Years





როცა საქმე თეატრალურ და საშემსრულებლო ხელოვნებას ეხება, უნდა ითქვას, რომ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ქვეყნის კულტურულ განვითარებას დიდ ბიძგს აძლევს. ეს თეატრალური ფესტივალი ყოველწლიურად სთავაზობს მაყურებელს ახალ პერსპექტივას და დახვეწილ ესთეტიკურ პერფორმანსებს, მუდამ ინოვაციურსა და შთამაგონებელს. „რუმს ოტელსი“ ამაცობს, რომ 2014 წლიდან ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია.

When it comes to performing arts, Tbilisi International Theatre Festival drives the country's cultural development. Each year, theatre festival offers the audience new perspectives and complex aesthetic performances, always innovating and inspiring. Rooms Hotels is proud to be one of the initial partners of the festival since 2014.



ლევან ბერულავა
აჭარა ჯგუფის მმართველი
დირექტორი

LEVAN BERULAVA
Managing Director of
Adjara Group



ROOMS HOTELS
- TBILISI -

სტამბა
სტამბა



ბარბარა ფონ მიუნხჰაუზენი
გოეთეს ინსტიტუტის
დირექტორი

**BARBARA VON
MUENCHHAUSEN**
Director of Goethe-Institut
Georgien



გულოცავ თბილისის საერთაშორისო ფესტივალს 10 ძალზე წარმატებული წლის გასრულებას! გოეთეს ინსტიტუტი პატივად მიიჩნევს და მოხარულია, რომ ფესტივალს დიდი ხნის განმავლობაში უწევს პარტნიორობას. გაგვიმართლა, რომ საშუალება მოგვეცა, გერმანიის საუკეთესო თეატრებიდან და სცენებიდან მნიშვნელოვანი პიესების „ჩამოტანაში“ ჩვენი წვლილი შეგვეტანა, ხოლო ახალგაზრდა ქართველი ენთუზიასტებისთვის უორქშოპები და მასტერკლასები მოგვეწყო. ფესტივალს ბრწყინვალე მომავალსა და ამ მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით გაგრძელებას ვუსურვებთ. დაბადების დღეს გილოცავთ!

Congratulations to the theatre festival of Tbilissi for 10 extremely successful years! The Goethe-Institut is honored and happy to have been partner of the festival for a long time. We were lucky to be able to contribute with important plays from big German stages, always also organizing workshops and master classes for young Georgian enthusiasts. We wish the festival a bright future and a great continuation of its important work. Happy birthday!





ნიცა ჩოლოყაშვილი

კომპანია „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

NITSA TCHOLAKASHVILI

Company IDS Borjomi, Public Relations Manager



10 წელი გავიდა (არადა თითქოს გუშინ იყო), რაც ფესტივალი დაარსდა... დიახ, დრო მალე გადის, და ამ თითქოსდა დიდ, მაგრამ რეალურად მცირე, მონაკვეთში საქართველომ თავისი სიტყვა თქვა საერთაშორისო კულტურული მოვლენების რუკაზე.

ვულოცავ ორგანიზატორებს ამ თარიღს! მეგობრებო, თქვენ ეს შეძელით!!! ვულოცავ ქართველ მაყურებელს, რომელიც მთელი წელი ელოდება შემოდგომის ამ პერიოდს. პერიოდს, როცა ქალაქი ცოცხლდება და სხვანაირი ფუსფუსი ისადგურებს ღამის თბილისში. ფესტივალის დამსახურებაა ის, რომ თეატრის მოყვარულებისთვის შესაძლებელი გახდა ჩვენივე ქალაქში ვნახოთ მსოფლიო მნიშვნელობის სპექტაკლები, გავიცნოთ რეჟისორები თუ მათი დასები, ვნახოთ მათი მუშაობის სტილი, შესრულების მანერა. ეს დიდი სიამოვნებაა და დიდი მადლობა ამისთვის ორგანიზატორებს. ფესტივალს კი ვუსურვებ განვითარებას და ამ გზაზე ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობას. თეატრი ჩვენი ქვეყნის საგანძურია, ასევეა, ქართული მინერალური წყალიც „ბორჯომი“. სწორედ ამიტომ, ჩვენი პარტნიორობა წლებია გრძელდება. „ბორჯომის“ მისიაც სწორედ ესაა, გვერდით ედგეს და აძლიერებდეს იმ მიმართულებებს, რომლებიც საქართველოს სახელის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენას ემსახურება.

წარმატებები !!!!

10 years passed since the festival was founded. It seems like it was only yesterday. Yes, time passes swiftly, and during this seemingly long but, in fact, quite short period, Georgia has reclaimed its place on the map of international cultural events. I congratulate the organizers on this date. Friends, you did it! I congratulate the Georgian art lovers who wait for this event, which is held in fall, a whole year - the period when the city begins to fill with life and joy and the night life becomes even more intense. The merit of the festival is that the theater lovers are able to watch the world's performances in their own city, to get to know the theatre directors or their companies, to see how they work or perform. It's a great pleasure and I'd like to thank the organizers for this. I wish the festival the further growth and even greater success. Our theater is a treasure of the country, and so is Georgian mineral water "Borjomi". That's why our partnership lasts for years. This is our company's mission - to stand by and empower the trends, which bring the international success to our country.

Good luck!



ზია პირადაშვილი
დამფუძნებელი
შატო მერე, ვინივერია

GIA PIRADASHVILI
Founder, Chateau Mere
and Winiveria



შატო მერეს და ვინივერიას სახელით ვულოცავ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს ღირსეულ დამკვიდრებას ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრალური ხელოვნება ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილი, ისევე როგორც ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ შედგა ვინივერიასა და ფესტივალის ათწლიანი კავშირი. საინტერესო და წარმატებული მომავალი თბილისის საერთაშორისო ფესტივალს!

Chateau Mere and wine company Winiveria congratulate Tbilisi International Theater Festival, a well established yearly event in Georgia's cultural life. The art of theater has always been and will be inherent to Georgia's indigenous cultural heritage, same as centuries-old art of wine-making. No wonder these two companies have partnered so well with the Festival over the last ten years. Happy 10th!

Best wishes for interesting and successful future!





ზაზა ფურცელაძე
ბრიტანეთის
საბჭოს დირექტორი
საქართველოში

ZAZA PURTSELADZE
Director, British Council
Georgia



თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დაარსების დღიდან იქცა უმნიშვნელოვანეს კულტურულ მოვლენად საქართველოშიც და მთელს რეგიონშიც. ბრიტანეთის საბჭო თავიდანვე მხარში ედგა ამ ახალ ფესტივალს არა მარტო იმის გამო, რომ ფესტივალის გუნდი არაქართულად ორგანიზებული და დინამიურია. ეს ფაქტია და დიდი მოტივაციაა ნებისმიერი ევროპული კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციისთვის. მაგრამ, უნდა ვაღიარო, ბრიტანეთის საბჭოს მოტივაცია თანამშრომლობისთვის ისაა, რომ სწორედ ეს ფესტივალი შეესაბამება ჩვენს ორგანიზაციულ სტრატეგიას საქართველოში თავისი ნოვატორული ხედვით, ექსპერიმენტირებისა და რისკის განვიცხვენ სწრაფვით, არაორდინარული და არატრადიციული თეატრალური ფორმების წარდგენის მისწრაფებით, დიალოგისთვისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისთვის მუდმივი მზაობით და, რაც მთავარია - მაყურებელზე მუდმივი ზრუნვით; ყველა ტიპის მაყურებელამდე ახალი თეატრის მიტანის სურვილით. ეს ფესტივალის გუნდისა და მისი ხელმძღვანელის, ეკა მახმიშვილის, დამსახურებაა. ჩვენს თვალწინ და ჩვენთან მუდმივ დიალოგში ვითარდება ფესტივალი, რომელიც ამსხვრევს თეატრის შესაძლებლობების შესახებ მკაცრად ჩამოყალიბებულ შეხედულებებს და მუდმივ, ზოგჯერ შოკისმომგვრელ, სიახლეებს სთავაზობს ქართულ აუდიტორიას.

სწორედ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალთან თანამშრომლობით შევძელით ქართული აუდიტორიისთვის გაგვეცნო სახელგანთქმული Gecko თავისი ფიზიკური თეატრის შესანიშნავი ნიმუშით "შინელი," imitating the dog, რომელმაც მაყურებელს კინოსა და თეატრის გამომსახველობითი ხერხებისა და ტექნოლოგიების მოულოდნელი შერწყმა შემოგვთავაზა, ბრიტანული კომპანია 1927, რომელმაც თავისი სპექტაკლით „ბავშვები და ცხოველები მოედგნენ ქუჩებს" კომპიუტერული პროექციისა და ცოცხალი შესრულების ოსტატური თანხვედრის მასტერკლასი ჩაუტარა ქართველ მაყურებელს, Invisible Flock, რომელმაც კაბარეს ტიპის სივრცეში მოგვითხრო რამდენად პირადული და ნიუანსური შეიძლება იყოს ბედნიერების ცნება ადამიანებისთვის და კიდევ აგვაცრემლა და კიდევ აგვაცეკვა.

და ბოლოს, შარშან, სწორედ თბილისის საერთაშორისო ფესტივალთან თანამშრომლობით მოვახერხეთ ინკლუზიური საცეკვაო კომპანიის Deaf Men Dancing-ის წარმოდგენების ჩვენება ღია ცის ქვეშ, რითაც კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები ნამდვილად არ არსებობს.

რაც ჩამოვთვალე, მხოლოდ, ბრიტანული და, მხოლოდ, მცირე ნაწილია მუდმივი განახლებისა და განვითარების პროცესში მყოფი ფესტივალისა, რომელიც ასე გვიყვარს და რომელსაც ასე ველოდებით ყოველ წელს. ბრიტანეთის საბჭოს სახელით მინდა, წარმატება და მუდმივი განახლებისკენ მუდმივი სწრაფვა ვუსურვო თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს.

From the day of its foundation, Tbilisi International Festival of Theatre became one of the most significant cultural events in Georgia and in the whole South Caucasus. The British Council has partnered with the Festival since it was established primarily because its ethos was the perfect fit with our organisational strategy in Georgia. The Festival team's aspiration for constant innovation, experimentation and taking risks, their desire to present unusual and non-traditional theatre, their readiness for the dialogue and mutually beneficial cooperation, above all, their constant care to have a dialogue with the audiences, their constant search for ways to reach new audiences have always served as a motivation to work with the TBS International. All credits for the above go to the Festival's team and Ekaterine Mazmishvili. The Festival develops in a constant dialogue with the audiences, theatre professionals, partners and funders breaking down long-established attitudes towards the theatre forms sometimes shocking the Georgian audience in the most positive understanding of the word "shocking."

In collaboration with the Tbilisi International Festival of Theatre, we managed to present the best of the contemporary UK theatre including the great Gecko with its brilliant Overcoat, imitating the dog (ITD), which presented the harmonious mélange of the film, live performance and use of technologies in their Hotel Methuselah; 1927, with Animals and Children took to the Streets, which presented a masterclass in the high professional combination of computer projection and live performance; Invisible Flock told us how personal and nuanced understanding of happiness is to every person in a cabaret style environment where audiences danced, sang, drank and cried along with the actors.

Finally, last year, in collaboration with Tbilisi International Festival, we were able to present an out-door performance of Deaf Men Dancing, the inclusive dance company from the UK. TBS International enabled us to once again demonstrate the rationale of the disability-led art.

Everything I mentioned is just British and just small part of the Festival, which we all love so much and for which we all wait impatiently.

On behalf of the British Council, I would like to wish Tbilisi International Festival of Theatre good luck and devotion to constant renovation.



ლევან ბაგლარიშვილი
Caucasus Business Week, დირექტორი

LEVAN BEGLARISHVILI
Director of Caucasus Business Week



ვერც კი წარმოვიდგენდი ამხელელები თუ ვიყავით. 10 წელი ფესტივალისთვის არ არის ცოტა. თუმცა, მთავარი ის არის, რომ ვერ შევამჩნიეთ, როგორ გავიდა ამხელა დრო. ეს კი, პირველ რიგში, ფესტივალის დამსახურებაა. გუშინდელი დღესავით მახსოვს პირველი ფესტივალი, პირველი სპექტაკლები და პირველი შთაბეჭდილებები, რომლებიც დღესაც არ განელებულა. მთელი ეს პერიოდი მუდმივად მაოცებდა ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის ენთუზიაზმი, მონდომება, ყოველდღიური შრომა. როგორც კი ერთი ფესტივალი მთავრდებოდა, მეორე დღესვე შემდეგზე იწყებოდა მუშაობა და ასე მუდმივად. ასეთ მონდომებას კი, გამორიცხულია, წარმატება არ მოჰყვეს. დღეს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ბრენდია, რომლის მოლოდინი მუდმივად აქვთ ადამიანებს. მთელი ამ 10 წლის განმავლობაში ის დედაქალაქის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა, სიმბოლოდ, რომელიც მუდმივად ახდენს კულტურისა და ხელოვნების იმპორტს ჩვენს ქვეყანაში. ამისთვის კი მადლობა მინდა ვუთხრა ორგანიზატორებს, რომლებიც უკვე კარგა ხანია ჩვენი მეგობრები არიან, ისეთი მეგობრები, როგორებსაც წლებს არ უთვლი. სწორედ ამიტომაც გავიდა ეს 10 წელი ასე შეუმჩნევლად და ბედნიერად. ვერც კი ვიხსენებ ამ 10 წლის განმავლობაში რაიმე ცუდი თუ მოხდა, მუდმივად დადებითი შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფებით, მუდმივად გვაქვს რაღაც დადებითის, ახლის, საინტერესოს, ჯერ არნახულის მოლოდინი.

მადლობა, რომ მოგვეცით საშუალება 10 წელი თქვენ გვერდით ვყოფილიყავით და წინასწარ გიხდით მადლობას მომავალი 10 წლისათვის.

I could not imagine we looked like this. Ten years for festival – this is not a short period. Anyway, the main thing is that we have not noticed how the time has passed. And the credit for that goes to the festival, first of all. I remember the first festival very well, as it took place yesterday, as well as first performances and first impressions that have maintained their brilliance in memories even today. Enthusiasm, tireless efforts, everyday hardworking of the festival organizing team was astonishing me the whole period. They used to start working on new festival organizational issues the next day of completion of the previous one; and always the same. Similar efforts always make a product successful. Today Tbilisi International Festival of Theater is a brand and people constantly wait for it. For the past 10 years this Festival has become a certain symbol of the capital city, the symbol that permanently imports culture and art to our country. Therefore, I would like to express my gratitude to the organizers, who have been my friends for a long period, friends, whose age does not matter. That's why these 10 years have passed so quickly, invisibly and happily. I cannot remember even one negative fact over the past 10 years. Positive impressions constantly fill our memories. We always expect something positive, new, interesting. Thank you you have enabled to be beside you for 10 years and I thank you for another 10 years to come.



კომპანია „სარაჯიშვილისთვის“ ძალიან სასიხარულოა, რომ უკვე 10 წელია წარმატებით თანამშრომლობს ფესტივალთან. ჩვენი მეგობრობა პირველივე წლიდან იწყება, გვეამაყება, რომ სწორად დავინახეთ პოტენციური ფესტივალისა, რომელიც ნადვილი ზეიმი თეატრისა და კინოს მოყვარულებისათვის. წლიდან წლამდე იგრძნობა თუ როგორ ვითარდება და იხვეწება ყველა დეტალი. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებთ თანამშრომლობას.

The company „ Sarajishvili“ is happy to successfully cooperate with the Tbilisi Theatre Festival during 10 years. Our friendship has started since its very first year. We are proud we've foreseen the potential of the festival, which is a celebration for theater and cinema lovers. From year to year, we have consistently seen its growth and improvement in every direction. We are positive we will continue our cooperation in the future.



ბახვა ბრეგვაძე
კომპანია სარაჯიშვილის მარკეტინგის და პიარის სამსახურის უფროსი

BAKHVA BREGVADZE
Head of Marketing and PR department of Sarajishvili





მიხეილ ჭკუასელი
კომპანია “გეოპლანტ“-ის
გენერალური დირექტორი

MIKHEIL CHKUASELI
Businessman
L.T.D. “Geoplant” - General Director



ათი წელი შექმნის, თბილისის კულტურული ცხოვრების განყოფილ ნაწილად ჩამოყალიბების, მსოფლიოს თეატრალური საფესტივალო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გახდომის, კულტურული ბრენდის, როგორც დირექტორების განვითარების ათი წელი. ბევრია? ასეთი ფესტივალი ბევრი არასდროს არ არის, ფესტივალი, რომლისთვისაც ხარისხი არის მთავარი, მაყურებელი არის უმნიშვნელოვანესი, ქართული თეატრებისათვის საერთაშორისო ასპარეზის კარის გახსნა არის მიზანი. მისია კი საქართველოს, როგორც უმდიდრესი წარსულის და კიდევ უფრო დიდი მომავლის ქვეყნის, დამკვიდრების საკითხია გლობალიზებული სამყაროს კულტურულ რუკაზე, ისეთი საქართველოსი, რომლის თანამედროვე განვითარების ვექტორიც, ყველაზე მეტად, კულტურისა და განათლებაზე გადის.

Ten years of creative work, of evolving into an integral part of the cultural life of Tbilisi and world theater festival life, ten years of becoming a cultural brand of self-sufficient value. Is this too much? There are not many festivals, in fact, to which the main value is a quality; which are very important to the public, which aims to open the doors for Georgian theaters toward the international scenes. And its mission is to establish Georgia as a country with the richest past and with even a greater future on the globalized world's map - a kind of Georgia for which the modern routes of development passes primarily through culture and education.



სალომე გველესიანი
აგროჰაბის მარკეტინგის
მენეჯერი

SALOME GVELESIANI
AgroHub's Marketing Manager



თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი კულტურული მოვლენაა. კომპანია “აგროჰაბისთვის” უდიდესი პატივია ამ განსაკუთრებულ ზეიმში ჩვენი მცირე წვლილის შეტანა. უკვე მეათე წელია, ფესტივალი სწორედ ის ღონისძიებაა, რომლის წყალობითაც თბილისი მკაფიოდ მოინიშნა საშემსრულებლო ხელოვნების რუკაზე... დედაქალაქს სტუმრობდნენ მსოფლიო მასშტაბის საოცარი დასები, რომელთა ყურებაც თავბრუს ახვევს მაყურებელს, ზრდის მას სულიერად და იწვევს ძირეულ კულტურულ ცვლილებებს. ვულოცავ მთელ ქვეყანას და, განსაკუთრებით, ფესტივალის ორგანიზატორთა გუნდს ამ მნიშვნელოვან ასაკს - 10 წელი სულაც არაა ცოტა.

Tbilisi International Theater Festival is one of the main cultural events of the country. It's a great honor for the company "AgroHub" to make our small contribution to this particular festival. For ten years already, the festival has been the event that put Tbilisi on the major map of world performing arts ... The world's most marvelous theatre companies have been our guests. The festival largely contributes to the spiritual growth of our society and brings fundamental cultural changes to it. I congratulate the entire country and, especially, the organizers' team on this important anniversary - 10 years is not a short period.





ზვიად კორძაძე

კორძაძის საადვოკატო ბიუროს
ხელმძღვანელი

ZVIAD KORDZADZE

The head of Kordzadze Advisory Bureau



ყველა მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში აქვს შემდეგი მახასიათებლები ჩემთვის: როცა რაღაც მთავრდება, გარკვეული სინანული გიპყრობს.

შემდეგ დგება მონატრების პერიოდი და როცა იწყება - სიხარულით ივსები.

თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, როგორც მართლა დიდ დადებით მოვლენას, სამივე ეს ნიშანი ახასიათებს.

როცა ის მთავრდება, მე, პირადად, და ალბათ, ბევრს გარკვეული სინანული გვიპყრობს, რომ ეს ლამაზი პერიოდი შემოდგომისა დასრულდა. შემდეგ მონატრების და მოლოდინის პერიოდი დგება და ზაფხულის სიხარული ახალი ფესტივალის მოლოდინში გვაყენებს. ფესტივალი იწყება და ვიგებთ ახალ პროგრამას. 10 წლის განმავლობაში, მე მგონია ფესტივალმა დაიმკვიდრა თავისი ადგილი როგორც თბილისის, ასევე ქვეყნის მასშტაბით. ის არის ერთგვარი კულტურული სარკმელი, მსოფლიოს თეატრალურ ცხოვრებაში. მისი დახმარებით ვგებულობთ უახლეს ტენდეციებსა და მიღწევებს მსოფლიოს მასშტაბით.

ამ 10 წლის განმავლობაში თეატრალური ფესტივალი და კორძაძის საადვოკატო ბიურო ვმეგობრობთ და გვერდით ვუდგავართ ფესტივალს. ეს მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება, რა თქმა უნდა. ვულოცავ საიუბილეო თარიღს ფესტივალს და წარმატებას ვუსურვებ.

All the events in a human's life have the following features to me: When something comes to an end, parting entails a certain sorrow, then period of yearning comes, and when something begins –joy fills you. The Tbilisi International Theater Festival, as any truly outstanding event, is characterized by all of these three moments. When it comes to an end, me, and perhaps, most of us, become somewhat sad, as the beautiful days of fall are over. Then follows a period of longing and expecting, and summer joys remind us the new festival is now closer. The festival begins and we browse through its new program.

I think, during these 10 years, the festival has established its place in both Tbilisi and in the world. It is a kind of cultural window into the world's theatrical life. It helps us discover the latest trends and achievements throughout the world.

For the past 10 years, the Theater Festival and the Kordzadze lawyer bureau have been friends and we stand by the festival. This friendship will continue in the future.

I congratulate the festival on this anniversary and wish it good luck.

NESCAFÉ

ყავა ნესკაფე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის უცვლელი პარტნიორი და მეგობარია.

წელსაც თეატრალური ფესტივალის მაცურებელს მიეცემა საშუალება, დააგემოვნოს განახლებული, უგემრიელესი ყავა ნესკაფე გოლდი.

Coffee Nescafe is continuous partner and friend of International Festival of Theatre!

This year guests of International Festival of Theatre will have the opportunity to enjoy renewed, delicious coffee Nescafe GOLD.



20.09

The Tiger Lillies

ედგარ ალან პოს მოჭადროებულ სასახლე „თაიგერ ლილიზ“

The Tiger Lillies/ „თაიგერ ლილიზ“

პედერ ბიურმანი
მულტიმედია-კონცერტი
რეჟისორი - პოლ გოლუბი
მუსიკალური რეჟისორი - მარტინ შაკი
ვიზუალური რეჟისორი - მარკ ჰოლთიუსენი
მუსიკალური ადაპტაცია: პარტინ შაკი - ვოკალი, ჰარმონიკა, ფორტეპიანო
ადრიან სტაუტი: ბასი, ხერხი (მუსიკალური), ტერმენვოქსი, ვოკალი

ხანგრძლივობა: 90 წუთი, შესვენების გარეშე

შემსრულებლები: მარტინ შაკი: ვოკალი, ჰარმონიკა, ფორტეპიანო;
ადრიან სტაუტი: ბასი, მუსიკალური ხერხი, ტერმენვოქსი, ვოკალი;
იონას გოლანდი: დასარტყმელი ინსტრუმენტები, ვოკალი;
პიტერ ქოლფილდი და ლუსი კილპატრიკი

თეატრის ისტორია:

ჯგუფი „თაიგერ ლილიზ“ 1989 წელს შეიქმნა. მას შემდეგ ათეულობით წლები გადის, მაგრამ მათი ჟღერადობა კვლავ ყველაზე უნიკალურად რჩება, რასაც კი ადამიანი ხელოვნებაში შეიძლება გადაეყაროს. მარტინ შაკმა, ანსამბლის ფრონტმენმა, სიმღერების ავტორმა და ჯგუფის შემქმნელმა, ახალგაზრდობის არაერთი წელი გაატარა ბორდელის თავზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში, ლონდონის სოპოში, და ფანჯრიდან ადევენებდა თვალს ქალაქის ამ ნაწილის ხმაურიან, ფარულ ცხოვრებას. შაკს ათი წელი დასჭირდა, ეს უჩვეულო სამყარო ხელოვნებად რომ გადაექცია, ეს მომღერლად და სიმღერების ავტორად ტრანსფორმირების წლები იყო. 1989 წელს მას პირველი აკორდეონი გაუჩნდა. მას შემდეგ „თაიგერ ლილიზ“ ძალიან მალე შეიქმნა. „თაიგერ ლილიზმა“ თავიდანვე შეიმუშავა თავისი გამორჩეული ჟღერადობა და სტილი და მალე გაიკვლია გზა ლონდონის ფაბებიდან პიკადილის

თეატრამდე, ქუჩის მუსიკოსობიდან სიდნეის საოპერო თეატრის სცენამდე. მალე „თაიგერ ლილიზმა“ მსოფლიო მოიარა საკონცერტო ტურიტა და სხვადასხვა თეატრალურ თუ არტპროექტებში მონაწილეობით. ჯგუფის მიღწევებიდან ყველაზე აღსანიშნავია ლოურენს ოლივიეს პრემია მისი საკულტო სიმღერად ქცეული ჰიტისთვის Shockheaded Peter და გრემი ალბომისათვის The Gorey End. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში „თაიგერ ლილიზ“ წელიწადში საშუალოდ 200 გამოსვლა აქვს და მიუხედავად იმისა, რომ დიდ დროს მოგზაურობაში ატარებს, ჯგუფი წელიწადში ერთზე მეტ ალბომს გამოსცემს. „თაიგერ ლილიზ“ მსოფლიოს მრავალ შოუში მიუღია მონაწილეობა და ხელოვნების ყველა სფეროს არტისტებთან უმუშავია. „თაიგერ ლილიზ“-ის სამყარო ბნელია, არაფრის მსგავსი, მრავლფეროვანი, ღრმა სევდის, დაუნდობელი შაკი იუმორისა და უსაზღვრო სილამაზის ელემენტებით. მისი მუსიკა ომამდელი ბერლინის

კაბარეს, ანარქიული ოპერისა და ბოჰემური მუსიკის ნაზავია, მისი სამყარო ბერტოლდ ბრეხტისა და შაკ ბრელის სამყაროებს ეხმიანება. ჯგუფი ალტაცებისგან აოგნებს, აღაფრთოვანებს და ართობს, და ამას პოსტმოდერნისტული ვოდევილის ფორმებით, შეუდარებელი in-year-face შოუებით ახერხებს, სადაც წინდანინ ძნელი გამოსაცნობია, სად დასრულდება წარმოდგენის ზღვრები.

წარმოდგენის შესახებ:

„თაიგერ ლილიზ“ სრულიად უჩვეულო სამწვერიანი ჯგუფია. მათი მუსიკა საოპერო ჟანრის, ბოჰემური სიმღერებისა და ჰარიზის მარცხენა სანაპიროს გასაოცარი ნაზავია, მაგრამ ის, რაც ამ ჯგუფს სხვა დანარჩენებისგან მართლაც გამოარჩევს არის უმძლავრესი ემოციური მუხტი და შესრულების უშუალოება, „დაუმუშავებელი“, ველური ვნება. შაკი იუმორის ამ დიდოსტატების მუსიკალურ წამორდგენებში „გრძნობათა შეურაცხყოფას“ უსაზღვრო სინაზით აღფრთოვანება მოსდევს.

მათი მუსიკა პირქუშია, შავი იუმორით გაჯერებული, პერვერსიულად მშვენიერი, ხოლო მისი ჟანრის განსაზღვრა შეუძლებელია. უკანასკნელ შოუში ჯგუფს ედგარ ალან პოს „მოჭადოებული სასახლე“ შემოაქვს - მძაფრი ვიზუალური კომპარი, უჩვეულო მუსიკალური extravaganza - „თაიგერ ლილიზ“ ედგარ ალან პოს შავბნელ, ავისმომასწავლებელ სამყაროში შეაბიჯებს.

პრესა:

„ყველა ეს ჯგუფი ძალიან მიყვარს, მაგრამ ხომ არსებობს „ყველაზე, ყველაზე საყვარელი“ ჯგუფები - ჰოდა,

ქალბატონებო და ბატონებო, ინებეთ - „თაიგერ ლილიზ!“
მეტ გრონინგი, სერიალ, „სიმპსონების“ პროდიუსერი.
„არავინაა სხვა მათი მსგავსი. მათი რამეგვარად აღწერა დიდი უსამართლობა იქნებოდა - ამ ჯგუფს ტოლი არ ჰყავს.“
ჯგუფ „ფრანც ფერდინანდის“ მუსიკოსი, ალექს კაპრანოსი

„თავზეხელაღებულად სასაცილო, ბრჭყვიალა, უსირცხვილო, გულის ტკივილამდე მშვენიერი.“
მედი კოსტა, „გარდიანი“
„ფუყე უგემოვნობების ქცევა სიმდარის

დიდებულებად.“
როს ფორჩინი, „ტაიმ აუტ ლონდონი“.
„ბრწყინვალე და სრულიად ფანტასტიკური!! სხვა ვერავისგან მოისმენთ ამაზე პერვერსიულ და უკუღმართ, ამავე დროს - მომაჭადოვებლად, სულისწამლებად ლამაზ მუსიკას“
მარკ ალმონდი.

www.quaternaire.org/tiger-lillies/edgar-allan-poes-haunted-palace

EDGAR ALLAN POE'S HAUNTED PALACE FEATURING

The Tiger Lillies

Martyn Jacques: vocal, harmonica, piano
Adrian Stout: bass, saw, theremin, vocal
Jonas Golland: percussion, vocal

Director: Paul Golub
Musical Director: Martyn Jacques
Visual Direction: Mark Holthusen
Written by: Peder Bjurman
Cast: Martin Bassindale & Lucy Kilpatrick

Edgar Allan Poe's Haunted Palace featuring The Tiger Lillies is produced by the Théâtre du Volcan Bleu (France) and coproduced by The Bergen International Festival (Norway), Maison de la musique de Nanterre (France), Le Théâtre de l'Union – Centre Dramatique National du Limousin (France), La Scène Nationale de Sète et du Bassin de Thau, L'OARA, Quaternaire (France). With the support of L'Etablissement Public du Parc and La Villette, Paris (France). Le Théâtre du Volcan Bleu is supported by French Ministry of Culture (DRAC Nouvelle-Aquitaine)
Edgar Allan Poe's Haunted Palace featuring The Tiger Lillies is represented worldwide by Quaternaire, Paris - www.quaternaire.org

THEATRE HISTORY:

The Tiger Lillies were formed in 1989 and as the decades go by their sound remains one of the most unique and original things one could come

across. Martyn Jacques, the band's front man, songwriter and founder, spent most of his twenties in a flat above a brothel in London's Soho, peeping through his window at the buzz of Soho's lowlife. It took him a

good ten years to turn that strange world into art, while training as a singer and songwriter. In 1989 he got his first accordion and The Tiger Lillies were formed shortly after.





ხელიდან ხელში

თბილისი, მარშალ გელოვანის 22 | ტელ: 995 32 2440707 | www.agrohub.ge

The Tiger Lillies stood out immediately for their distinct sound and style and worked their way up from London pubs to the Piccadilly Theatre and buskers' benches to the Sydney Opera House. Soon the The Tiger Lillies were touring the world giving concerts and participating in various art and theatre projects. A couple of the many highlights in their career was the Olivier Award they won for the cult hit musical Shockheaded Peter and the Grammy nomination for their album The Gorey End. Within the last two decades The Tiger Lillies have been doing an average of over 200 gigs a year and despite spending so much time on the road they have managed to also release more than one album a year. They have participated in numerous shows all over the world, collaborating with artists of all disciplines. The world of The Tiger Lillies is dark, peculiar and varied, with moments of deep sadness, cruel black humour and immense beauty. Their music is a mixture of pre-war Berlin cabaret, anarchic opera and gypsy music, echoing the voices of Bertolt Brecht and Jacques Brel. The Tiger Lillies shock, amuse and entertain in a postmodern vaudeville

way, with their inimitable in-year-face shows, where no limit should be taken for granted.

ABOUT PERFORMANCE:

The Tiger Lillies are an extraordinary three-piece band and their music is a startling mixture of opera, gypsy song and left-bank Paris, but what really marks out this band from any others is the emotional charge and raw passion of the delivery. Masters of dark humour, their music plays in the intersection between offensive and delightful. It has been called macabre, darkly humorous, perversely beautiful and impossible to pigeonhole. In their new show Edgar Allan Poe's Haunted Palace, a highly visual nightmare and bizarre musical extravaganza, The Tiger Lillies plunge into the dark and sinister world of Edgar Allan Poe.

The international creative team behind this darkly comic musical spectacle consists of French-American director Paul Golub, American video designer Mark Holthusen and Swedish playwright Peder Bjurman. The theatrical score and all songs are new compositions by Martyn Jacques,

lead singer of The Tiger Lillies.

PRESS:

"All these bands are my favourites, but here is a favourite, favourite. Ladies and Gentlemen, The Tiger Lillies"

Matt Groening, creator of the Simpsons

"There is nothing else like them. Any description of them is an injustice – they are completely peerless."

Alex Kapranos of Franz Ferdinand

"Fun, scintillating, impudent, achingly beautiful."

Maddy Costa, The Guardian

"Bigger, prouder and fleshily engorged with the pustule throb of the garishly gaudy and gloriously obscene."

Ross Fortune, Time Out London

"Just brilliant and utterly fantastic!! You'll never hear more perverse and twisted as well as haunting and sorrowful songs"

Marc Almond



Photographer Armin Smalovic

მერვე სიცოცხლე (ბრილკასთვის)

თეატრი „თალია“

ნინო ხარატიშვილის რომანის სასცენო ადაპტაცია
ადაპტირებული ვერსიის ავტორები: იულია ლოხტე და ემილია ლინდა ჰაინრიჰი
რეჟისორი: იეტე სტეკელი
კოსტიუმების დიზაინი: პაულინ ჰიონერსი
სასცენო დიზაინი: ფლორიან ლიოხე
ვიდეო: ზაზა რუსაძისი
ქორეოგრაფია: იოჰან სტეგლი
მუსიკალური გაფორმება/ადაპტაცია: მარკ ბადურისი
ფოტოგრაფია: არმინ სმაილოვიჩი

ხანგრძლივობა: 4 საათი, 55 წუთი (ნაწილი 1: 2.15წთ / ნაწილი 2: 2.20წთ)
სპექტკლის მსოფლიო პრემიერა 2017 წლის 8 აპრილს შედგა.

როლებში: ლისა ჰაგმაისტერი, ფრანციშკა ჰარტმანი, მირკო კრაიბიჰი, მარი ლიოკერი, კარინ ნოიჰაუზერი, ბარბარა ნიუსი, სებასტიან რუდოლფი, მაია შონე, ანდრე შიმანსკი.

მხარდამჭერი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო

წარმოდგენის შესახებ:

საქართველო, 1900 წელი: სტასიას, ცნობილი მემოკოლადის დაბადებით იწყება ოჯახური საგა, რომელიც ექვს თაობასა და მეოცე საუკუნის ყველა ომსა და რევოლუციას სწვდება. „მერვე სიცოცხლე (ბრილკასათვის)“ ნინო ხარატიშვილის რევოლუციური, მდიდარი ენით დაწერილი რომანია. ავტორი 1983 წელს დაიბადა თბილისში, გერმანულად წერს და ჰამბურგში ცხოვრობს. იგი მაგიური რეალიზმით ჰყვება ამბავს ისტორიის ქართველებთან შეგუების, ლაღისა და წინააღმდეგობის, სიყვარულისა და სიცოცხლის (და გადარჩენის) ჟინის შესახებ. ხარატიშვილი მოგვითხრობს კომუნისტური რეჟიმის აღზევებისა და დაცემის შესახებ. თხრობა რევოლუციის ხანიდან იწყება და ევროპის ახალი აღდგენის წლებს მოიცავს - ესაა ერთი ქართული ოჯახის პერსპექტივიდან დანახული ამბავი, ოჯახისა, რომელიც

ისტორიის ხაფანგშია მოხვედრილი, რადგან მის ბედს ქართველებით სავსე მეოცე საუკუნის მოტანილი ტოტალიტარიზმი, საზოგადოებრივი რყევები და მათგან ტრაგედიები განსაზღვრავს.

თეატრის შესახებ:

1843 წელს, როდესაც შარლ მორისს ჰამბურგში თეატრის დასაარსებლად ოფიციალური უფლება მისცეს, სხვა სახელმწიფო თეატრების ინტერესების დასაცავად, მას სერიოზული პიესების დადგმა აეკრძალა. მორისმა თეატრს კომედიის ძველბერძნული მუზის სახელი, თალია დაარქვა. თეატრის კარი პირველად 1843 წლის 9 ნოემბერს გაიღო, ზუსტად იმ შენობის გადაღმა, სადაც დასი დღესაც დაფუნდებული. იოჰან ლუქსი 2009 წლიდან თალიას სამხატვრო ხელმძღვანელია. მან თეატრის პირველივე სეზონზე ბრწყინვალე რეჟისორების „გადაბრუნება“ მოახერხა - ლუკ პერსევალი, ნიკოლას შტემანი, იან ბოსსე, დიმიტერ გოჩევი მხოლოდ

ნაწილია ამ სახელებისა. ლუქსი თავისი ნამუშევრებით ცდილობს „კულტურებს, სოციალურ კლასებსა და სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს შორის ურთიერთგაგებას შეუწყოს ხელი. ამავე მიზანს ისახავს საერთაშორისო ფესტივალი „მსოფლიოსათვის - ლესინგის დღეები“. ეს ფესტივალი თეატრ „თალიაში“ ტარდება 2010 წლიდან ყოველწლიურად - იანვრის ბოლოდან თებერვლის პირველი რიცხვების ჩათვლით. დასის რეპერტუარის თემები და პიესები იმ ტენდენციას ასახავს, როდესაც ადამიანის გონება გარე სამყაროში თავისი ადგილით უფროა დაკავებული, ვიდრე შინაგანი, ფსიქოლოგიური სამყაროთი.

ეს მკაფიო მესიჟია.

ჰამბურგს მსოფლიოს თეატრალურ ხელოვნების ნიმუშებზე ახლა ადვილად მიუწვდება ხელი. ჩვენი მიზანი საერთაშორისო თეატრის ქალაქის - კოსმოპოლიტური კულტურის პლატფორმის შექმნაა.



23.09



პრესა:

„ამ სპექტაკლის წყალობით, თქვენ შეგიძლიათ, ამ სიტყვის ლამის ზუსტი მნიშვნელობით, საკუთარ ტყავზე გამოსცადოთ მე-20 საუკუნის სისასტიკე და დაუნდობლობა. ეს მხოლოდ ამ შეუდარებელი დასის მეშვეობით ხდება შესაძლებელი.“

(NDR 90,3).

„როგორი სადამო იყო - ამაღლებული, გონსასერიო, მრავალფეროვანი!“
„ჰამბურგერ აბენდლატი“

„ხუთი საათი გრძელდება სპექტაკლი და არცერთი წუთი არაა მასში ზედმეტი!“
„ჰამბურგერ აბენდლატი“

„შტეკელი გულისგანმგმირავი ტრაგედიის ხუთ საათს გვაყურებინებს - ტრაგიკულ საოჯახო კომედიას; ისტორიულ-დეტექტიურ თრილერს“
„დი ველტი“
...„უსაზღვრო სინაზით სავსე პოეტური ეპიზოდები“

nachtkritik.de

„შენც უფრო მეტის, რაღაც გიჟურის გაკეთების სურვილი გიჩნდება... გონებას დაუფლებული სიგიჟითა და გულს მოფენილი მადლიერების გრძნობით.“ „მერვე სიცოცხლეს“
მართლაც შეუძლია ახალი სიცოცხლის შთაბერვა. “

„დი ცაიტი“

„...მაყურებელი სპექტაკლში მთელი არსებით ერთვება, რათა უყვარდეს, იტანჯოს, იცინოს. ფარდა ეშვება, მაყურებელი ფეხზეა წამოვარდნილი: მდგომარე ოვაციებს ბოლო არ უჩანს. “
„ბილდი“

დაფინანსებულია კულტურისა და მედიის ფედერალური სამთავრობო კომისიის მიერ, როგორც პროგრამის “Umbruch in Europa / Europa im Umbruch”-ის („გარდატეხა ევროპაში/ ევროპა გარდატეხის პერიოდში“) ნაწილი.

www.thalia-theater.de/forbrilka

THE EIGHT LIFE (FOR BRILKA)

Thalia Theater

Adapted by Julia Lochte, Jette Steckel and Emilia Lind Heinrich
Directed by Jette Steckel
Stage Design: Florian Lösche
Costume Design: Pauline Hüners
Music Adapted by Mark Badur
Video: Zaza Rusadze
Choreographer Yohan Stegli
Dramaturgy Julia Lochte

Duration 4 hours 55min (Part 1: 2h15min / Part 2: 2h20min)
World premiere on 8th April 2017

CAST: Lisa Hagmeister, Franziska Hartmann, Mirco Kreibich, Marie Löcker, Karin Neuhäuser, Barbara Nüsse, Sebastian Rudolph, Maja Schöne, André Szymanski.

Supported by the Foreign Office of the Republic of Germany

ABOUT PERFORMANCE:

Georgia, 1900: The birth of Stasia, daughter of a respected chocolatier,

triggers the start of a narrated family saga that spans six generations, through all of the revolutions and wars of the 20th century through to the present day. ‘The Eighth Life (For Brillka)’ is a revolutionary, opulent novel, written

by Nino Haratischwili, who was born in Tbilisi in 1983, writes in German and now lives in Hamburg. With magical realism she tells stories about adaptation, betrayal and resistance, love, hate and the will to live (and survive). Haratischwili depicts the



GOETHE-INSTITUT GEORGIEN

Sandukeli Str. 16
0108 Tbilissi
Georgien
Tel.: +995 32 293 89 45
+995 32 292 01 54

www.goethe.de/georgien
www.facebook.com/goetheinstitutgeorgien

1890
დაბადდა - ESTABLISHED
ბორჯომი



rise and fall of communism from before the revolution through to Europe post-reunification, from the perspective of a Georgian family, who are as ensnared as they are conflicted by the totalitarianism, tragedies and upheavals of this God-forsaken 20th century.

ABOUT THEATRE:

When Cheri Maurice was granted the license for a theatre in Hamburg in 1843, he was forbidden from staging serious plays in order to protect another existing Stadttheater. As a result, he named his theatre after the Greek muse of comedy, Thalia and opened its doors on 9th November 1843, in a spot directly opposite its current location.

Joachim Lux has been the Artistic Director at Thalia Theater since summer 2009. He began signing up brilliant directors to the theatre in his very first season. Luk Perceval, Nicolas Stemann, Jan Bosse, Dimiter

Gotscheff are just a few of the names. Lux is passionate about promoting understanding between cultures, social classes and religions. This is also what the intercultural festival 'For the world – Lessing Days' stands for, which has taken place at Thalia Theater between the end of January and the beginning of February every year since 2010. The topics and plays covered in our programme reflect the tendency to occupy oneself more with the 'world' and less with inner psychological realms. The message is clear: the vision of an international theatre for the entire city of Hamburg is now within reach. What we are aiming for is an international city theatre – a platform for cosmopolitan culture.

PRESS:

„You can literally touch the inexorability of the 20th century. This is only possible through this ensemble beyond comparison.“ (NDR 90,3)

„What a night – sublime, smart and diversified!“ (Hamburger Abendblatt)
„Five hours – and not one minute too long!“ (Hamburger Abendblatt)

